ISSN 0132—1307

# საბჭოთა ხელოვნება

3
1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუჯინ ო'ნილი

# სიყვარული თელებქვეშ

მოქმედი პირები:

ეფრაიმ ქებოტი
სიმეონი, პიტერი, ებენი — მისი ვაჟები
ები პატნამი
ახალგაზრდა გოგონა
ორი ფერმერი
მევიოლინე
შერიფი
და მეზობელი ფერმებიდან მოსული ხალხი

მოქმედება ხდება ქებოტის ფერმაში, ახალ ინგლისში, 1850 წელს.

ჩვენსკენ სახლის სამხრეთი მხარეა. ყორეშემოვლებული ეზო, შუაში ხის ჭიშკარით, სოფლის შარაზე გამოდის. სახლი კარგია, ოღონდ ცოტა საღებავი შემოსცლია. კედლები გამოხუნებული ნაცრისფერია. ოდესღაც მწვანე დარაბებიც გახუნებულა. ორი უზარმაზარი თელა აქეთ-იქიდან ამოსდგომია სახლს და მის დასაცავად თუ დასათრგუნად გადაუფარებია თავზე ვეება ტოტები. მათში იგრძნობა ერთგვარი დედობრივი განწყობილება, სადაც ერთმანეთს შერევია სიყვარული და ეჭვი. წლების განმავლობაში ადამიანებთან ურთიერთობით თითქოს ეს ხეებიც გაადამიანდნენ და ახლა სურთ დაისაკუთრონ, დაეუფლონ ამ სახლს. ისინი ჰგვანან დაქანცულ ქალებს, რომელთაც სახლის თავზე ჩამოუშლიათ თმა, ზანტად დაუშვიათ მოდუნებული მკერდი და ხელები. წვიმაში მათი ცრემლი ლაპა-ლუპით დასდის სახლს და ყავარში იკარგება.

ჭიშკრიდან მიმავალი ბილიკი სახლს მარჯვენა კუთხიდან უვლის და ვიწრო კართანასთან ადის. იმ კედელზე, რომელიც ჩვენსკენაა, ოთხი ფანჯარა გამოდის. ორი მეორე სართულზე, ერთი მამის და მეორე ვაჟების საწოლი ოთახები, ხოლო ორი, უფრო მოზრდილი ფანჯარა პირველ სართულზე: ერთი სამზარეულო. მეორე — სასტუმრო ოთახი. სასტუმრო ოთახის სქელი ფარდები მუდამ დაშვებულია.

## მოქმედება პირველი

### სცენა პირველი

ზაფხულის დამდეგია. მზე ჩადის. ყველაფერი გარინდულა, სიოც არ იძვრის. ცის სილურჯეს ლამაზად ეხამება თელების ხასხასა სიმწვანე, ხოლო სახლი, რომელიც ამ თელების ჩრდილშია, მათ ფონზე უღიმღამოდ და უსიცოცხლოდ გამოიყურება.

იღება კარი. კართანაზე გამოდის ებენ ქებოტი. მარჯვნივ, გზისკენ იხედება. ხელში დიდი ზარი უჭირავს და ანგარიშმიუცემლად რეკავს. ზარს გამაყრუებელი ხმა აქვს. უცებ გაჩერდება, ხელებს დაუშვებს. ცას შეხედავს. აღტაცებული ღრმად ჩაისუნთქავს და ჩურჩულით ამბობს:

ე ბ ე ნ ი. ღმერთო, რა ლამაზია!

ებენი 25 წლისაა, მაღალი, ჩაფსკვნილი. ლამაზი, სასიამოვნო სახე აქვს, მაგრამ მუდამ რაღაცით უკმაყოფილოა და დაძაბული. დატყვევებული მხეცივით აბრიალებს თავის შავ თვალებს. ყოველი დღე მისთვის გალიაა, რომელშიაც იგი ვერაგულად შეიტყუეს, მაგრამ ვერ მოტეხეს და ვერც დაიმორჩილეს. მთელ მის არსებაში იგრძნობა სიცოცხლის შმაგი, თუმცა ოდნავ ჩახშობილი სიყვარული. ებენს შავი თმა, ულვაში და ხვეული, თხელი წვერი აქვს. აცვია ფერმერის უხეში ტანსაცმელი.

უცებ ცას თვალს მოსწყვეტს, იღუშება, შემდეგ ზიზღით გადააფურთხებს, მიტრიალდება და სახლში შევა.

შემოდიან სიმეონი და პიტერი. ისინი მინდორში მუშაობდნენ. ორივე მაღალია და თავის ნახევარ ძმაზე ასაკითაც უფროსნი არიან. (სიმეონი 33 წლისაა, პიტერი 37-ის) ეს ძმები უფრო ზანტები, ტლანქები და უბრალონი არიან ებენთან შედარებით, მაგრამ უფრო ეშმაკი და პრაქტიკულები. ფიზიკური შრომისაგან წელში გატეხილან. მძიმედ მოაბიჯებენ სქელძირიანი, ტალახაკრული წაღებით. ტანსაცმელი, სახე, ხელები, დაკაპიწებული მკლავები, ყელი, მიწით მოთხუპნიათ. სუნიც მიწის ასდით. ჭიშკართან შედგებიან და თითქოს ორივეს ერთად რაღაცამ უბიძგაო, თოხს დაყრდნობილები ცას მიაჩერდებიან. მათი კუშტი, ჯიუტი სახეები იცვლება, რბილდება.

ს ი მ ე ო ნ ი. (წყნარად) რა ლამაზია.

პ ი ტ ე რ ი. უჰუ!

ს ი მ ე ო ნ ი. თვრამეტი წელია...

პ ი ტ ე რ ი. რაო?

ს ი მ ე ო ნ ი. ჯენი, ჩემი ქალი, რომ მოკვდა.

პ ი ტ ე რ ი. ეჰ, მე დამავიწყდა კიდეც.

ს ი მ ე ო ნ ი. მე არა. სულ მახსოვს და მახსოვს. კაცი ცოდოა მარტო. რა თმა ჰქონდა, ძუასავით და სულ ყვითელი, ოქროსავით!

პ ი ტ ე რ ი. რას იზამ! წავიდა... (პაუზა) (ხმა ეცვლება) ოქრო იქ არის, სიმ, დასავლეთში!

ს ი მ ე ო ნ ი (დაისს მისჩერებია) სად. ცაზე?

პ ი ტ ე რ ი: ცაზეც... ეგეც რაღაცის ნიშანია. (აღელდება) ოქრო ცაზე. ოქრო დასავლეთში, ოქროს კარიბჭე, კალიფორნია, ოქროს დასავლეთი, ოქროთი სავსე ტრამალები...

ს ი მ ე ო ნ ი: (აღელდება) ამბობენ საითაც გაიხედავ, სულ ოქროს ზოდები ჰყრია. ბოჭე და ბოჭე, სულო და გულო, რამდენიც გაგეხარდება. სოლომონ მეფის საგანძურია ნამდვილი.

ცას უცქერენ, შემდეგ ერთმანეთს შეხედავენ

პ ი ტ ე რ ი. აქ კი საითაც გაიხედავ, ეს ოხერი ქვებია და მეტი არაფერი. მიწაა და ქვიანია, კედლებია და, ქვაა. ეგ ქვა იქნება ბოლოს მეც, შენც და ებენსაც რომ დაგვეყრება გულზე.

ს ი მ ე ო ნ ი. რა ვიცი, ჩვენ კი ჯანი გაგვაგდებინა. გათავდა, შეგვჭამა ამ მიწამ. (გაბრაზებული ფეხს ძლიერად დაჰკრავს მიწას) აი, აქ ჩავყარეთ მთელი ილაჯი! (პაუზა) ისე... ფერმა ცუდ შემოსავალს არ გვაძლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ი ტ ე რ ი. ამდენი რომ კალიფორნიაში გვეხნა, გუთნის ყველა გატანაზე თითო ნატეხ ოქროს ამოვიღებდით.

ს ი მ ე ო ნ ი. კალიფორნია აქედან... აუჰ, დედამიწის მეორე ბოლოა!

პ ი ტ ე რ ი (პაუზის შემდეგ). შენ რა გგონია, განა მე კი არ მენანება დავყარო ყველაფერი. სადაც ამდენი ოფლი მიღვრია... (ისევ პაუზა).

(ებენი სამზარეულოს ფანჯრიდან გადმოიხედავს და მათ უსმენს)

ს ი მ ე ო ნ ი. იიჰ! (პაუზა) იქნება ჩაძაღლდეს მალე!

პ ი ტ ე რ ი. (ეჭვი ეპარება). რა იცი!

ს ი მ ე ო ნ ი. იქნება უკვე მოკვდა კიდევაც, ვინ იცის.

პ ი ტ ე რ ი. არა. ზუსტად უნდა გავიგოთ.

ს ი მ ე ო ნ ი. აბა ორი თვეა წასულია და სიტყვაც არ შემოუთვლია...

პ ი ტ ე რ ი. გახსოვს, პირდაპირ მინდორში არ მიგვატოვა... მაშინაც ასეთი საღამო იყო. მოახტა ცხენს და დასავლეთისაკენ გააქენა... არა, რაღაცაშია საქმე. როდის გინახია სადმე წასულიყოს. სოფელში თუ გავიდოდა, ეს იყო და ეს. ამ ფერმიდან ოცდაათი წელია ფეხი არ მოუცვლია, მას მერე, რაც ებენის დედა შეირთო. (პაუზა. გაბოროტებით) მოდი, გინდა, გიჟად გამოვაცხადოთ სასამართლოს ძალით!

ს ი მ ე ო ნ ი: რას ამბობ! ორი თავი ვისა აქვს. ყველას ტყავს გააძრობს. არა. არ გამოვა. (პაუზა) ისლა დაგვრჩენია, ვუცადოთ, მართლა როდის ჩავა მიწაში.

ე ბ ე ნ ი. (ვესლიანად ჩაიცინებს). იფ, რა პატივს სცემენ მამას! (სიმეონი და პიტერი შეკრთებიან და ებენს შეხედავენ. ებენი გაიკრიჭება, შემდეგ ილუშება) მე თვითონაც ვლოცულობ რომ მოკვდეს. (ძმები თვალს არ აცილებენ. ებენი წყნარად ამბობს) ვახშამი მზადაა.

ს ი მ ე ო ნ ი და პ ი ტ ე რ ი. (ერთად), ა?

ე ბ ე ნ ი (ცას უყურებს). მზე რა ლამაზად ჩადის!

ს ი მ ე ო ნ ი და პ ი ტ ე რ ი. უჰუ, იქ ოქროა!

ე ბ ე ნ ი. ჰო. (ხელს გაიშვერს დასავლეთისაკენ) ჰორიზონტზე, ხომ?

ს ი მ ე ო ნ ი და პ ი ტ ე რ ი. არა. კალიფორნიაში.

ს ი მ ე ო ნ ი. (ტუჩებს მოილოკავს) უუ, რა მშია!

ე ბ ე ნ ი. ა?! (ერთხანს უაზროდ უცქერის მათ, შემდეგ წყნარად ამბობს) მოდით, ვახშამი გაცივდა.

პ ი ტ ე რ ი. (ჰაერს ყნოსავს) შემწვარი ღორის სუნი მომდის...

ს ი მ ე ო ნ ი. (კმაყოფილებით) უჰ, რა კარგია!

პ ი ტ ე რ ი. მართლა კარგი რამეა!

(გატრიალდებიან და ერთად, მხარდამხარ მიაბიჯებენ. ნამუშევარი უღელი ხარი საჭმელად მიეშურება. სახლს მარჯვნიდან შემოუვლიან და კარში შევლენ. ისმის მათი ნაბიჯები სახლში).

ფარდა.

## ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

ცა თანდათან ჩაქრა. ბინდი ჩამოწვა. სამზარეულო. მარჯვნივ სიღრმეში, დგას დიდი ღუმელი. შუაში ფიჭვის მაგიდა და ოთხი, ხისაგან გამოჩორკნილი სკამია. მაგიდაზე დიდი სანთელი ანთია. პირდაპირ კედელზე გაკრულია უშველებელი სურათი, რომელზედაც გემი სრული სვლით მიარღვევს ტალღებს. სურათს მსხვილი ასოებით აწერია: „კალიფორნია“. სამზარეულოს ჭურჭლეულობა კედელზე ლურსმნებზე ჰკიდია. ყველგან სისუფთავე და წესრიგი სუფევს, მაგრამ მამაკაცების ხელში აქაურობა სავლე სამზარეულოს უფრო ჰგავს, ვიდრე სახლისას.

მაგიდაზე დევს მთელი პური, დოქით წყალი და სამი თეფში. სიმეონი და პიტერი ერთად შემოაბიჯებენ და მაგიდას მიუსხდებიან. ებენი ღუმელთან მივა და მაგიდაზე გადმოდგამს შემწვარ ღორს და კარტოფილს. სამივენი უხმოდ შეექცევიან. მინდვრიდან მოსულები მადიანად ილუკმებიან. ებენი უხალისოდ იციცქნება და აწრეზით უცქერის ძმებს.

ს ი მ ე ო ნ ი. (უცებ მიუტრიალდება ებენს). მოიხედე, შენ მასე არ უნდა ილაპარაკო, ებენ!

პ ი ტ ე რ ი. ჰო, შენ სწორი არა ხარ.

ე ბ ე ნ ი. რაო?

ს ი მ ე ო ნ ი: ვლოცულობ მოკვდესო, რომ ამბობ.

ე ბ ე ნ ი. ე, თქვენ რა, არ ლოცულობთ? (პაუზა)

პ ი ტ ე რ ი. რაც არ უნდა იყოს, მაინც მამაა.

ე ბ ე ნ ი. (გაბრაზებით) ჩემი არ არის!

ს ი მ ე ო ნ ი. (ცივად) აი, შენ დედაშენზე მაგას ათქმევინებდი ვინმეს? ჰა? (ჩაიცინებს. პიტერი იკრიჭება).

ე ბ ე ნ ი. (შეცბუნებულია). იმას ჩემი არ ესმის და მე მისი.

პ ი ტ ე რ ი. იმის ხნის რომ მოიყრები, მერე გაიგებ.

ე ბ ე ნ ი. (დაბეჯითებით). მე დედას ვგავარ!

(პაუზა. ძმები წყნარად მისჩერებიან ებენს)

პ ი ტ ე რ ი. კარგი ქალი იყო. სიმსაც კარგად ექცეოდა, მეც. იშვიათია მასეთი დედინაცვალი.

ს ი მ ე ო ნ ი. მართლა კარგი იყო, ყველასათვის.

ე ბ ე ნ ი. (ფეხზე წამოდგება და სათითაოდ თავს დაუკრავს მათ) დიდი მადლობა მომიხსენებია. გმადლობთ. გმადლობთ. (დაჯდება).

პ ი ტ ე რ ი. (მცირე პაუზის შემდეგ) მამასაც კარგად უვლიდა.

ე ბ ე ნ ი. (გაბრაზებული) იმან კი მადლობის მაგივრად სული ამოხადა.

ს ი მ ე ო ნ ი. იმას არ მოუკლავს ებენ, ცხოვრებაა დაუნდობელი! რას იზამ...

ე ბ ე ნ ი. არა. იმან მოკლა. მუშაობით!

პ ი ტ ე რ ი. თვითონაც მასე არ იკლავს თავს მუშაობით? მეც სიქა გამაძრო, სიმსაც, შენც. მაგრამ ცოცხლები ვართ ჯერ.

ს ი მ ე ო ნ ი: რაღაცა შეუხდა და არ ასვენებს. ის კიდევ ჩვენ არ გვასვენებს.

ე ბ ე ნ ი. (შურისძიებით) დამაცადოს, მე მაგას ვუჩვენებ..., რაღაცა შეუხდა! მაინც რა არის ეგ რაღაცა, ა?

ს ი მ ე ო ნ ი. მე რა ვიცი!

ე ბ ე ნ ი. თქვენც ეგ რაღაცა ხომ არ შეგხდომიათ? იქნებ მაგასაა, რომ მიყავხართ კალიფორნიაში?.. (ძმები გაოცებული შემოხედავენ) ოოო..., გავიგონე, რასაც ლაპარაკობდით. მაგრამ ვერა, ვერ წახვალთ იმ ოქროს ტრამალებში.

პ ი ტ ე რ ი. ვითომ რატომაო?

ე ბ ე ნ ი. ფული არა გაქვთ.

პ ი ტ ე რ ი. ფეხით წავალთ. შორია, მართალია, მაგრამ რაც ჩვენ ამ ფერმაში წინ და უკან გვივლია, ერთმანეთზე რომ გადააბა, მთვარეზე ახვალ.

ე ბ ე ნ ი. ჰოდა, პრერიებში ინდიელები სკალპს აგაჭრიან...

ს ი მ ე ო ნ ი. (ნაძალადევი ღიმილით) იქით ავაჭრით, თუ საჭირო იქნება.

ე ბ ე ნ ი. (გადაწყვეტით) თქვენ არსად წამსვლელები არა ხართ. აქ ისხდებით და დაუცდით, როდის გაფშიკავს ფეხებს, რომ თქვენ თქვენი წილი მიიღოთ.

ს ი მ ე ო ნ ი. (პაუზის შემდეგ) გვეკუთვნის და მივიღებთ!

პ ი ტ ე რ ი. ორი მესამედი ჩვენია!

ე ბ ე ნ ი. (ფეხზე წამოხტება) როგორ არა. თქვენ დედაჩემის შვილები არა ხართ. ეს დედაჩემის ფერმაა. მაგან ძალით წაგლიჯა... ახლა, როცა დედაჩემი ცოცხალი აღარ არის. ჩემია.

ს ი მ ე ო ნ ი. (დაცინვით) ეგ მამა რომ დაბრუნდება, იმას მოახსენე. დოლარს ჩამოვდივარ სანაძლეოდ, თუ თავის სიცოცხლეში პირველად არ გაიცინოს. ჰა, ჰა, ჰა. (იცინის, მაგრამ ეს არ არის მხიარული სიცილი, უფრო ყეფასა ჰგავს).

პ ი ტ ე რ ი. (გამხიარულდა და ისიც იცინის) ჰა, ჰა, ჰა.

ს ი მ ე ო ნ ი. (პაუზის შემდეგ) არა. მაინც რას გვემართლები, ებენ? აგერ უკვე რამდენი ხანია, რაღაცას გვიმალავ. კი, თვალებში გატყობ!

პ ი ტ ე რ ი. უჰუ!

ე ბ ე ნ ი. ყოჩაღ. გამოიცანით. (უცებ ამოხეთქავს) რატომ ერთხელ მაინც არ შეიცოდეთ დედაჩემი, ძალით რომ ჩააწვინა საფლავში? არ შეგეძლოთ, მოხმარებოდით, გვერდით ამოსდგომოდით, გადაგეხადათ თქვენც სიკეთით სამაგიერო!

(გრძელი პაუზა. ძმები განცვიფრებული უცქერენ ებენს).

ს ი მ ე ო ნ ი. მერე, საქონელი ვის დაერწყულებინა?

პ ი ტ ე რ ი. შეშა ვის მოეტანა, ვის დაეჩეხა?

ს ი მ ე ო ნ ი. ვის მოეხნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ი ტ ე რ ი. თივა ვის მოეტანა?

ს ი მ ე ო ნ ი. ნაკელი ვის შეეტანა?

პ ი ტ ე რ ი. ვის გაემარგლა?

ს ი მ ე ო ნ ი. ვის გაესხლა?

პ ი ტ ე რ ი. ძროხა ვის მოეწველა?

ე ბ ე ნ ი. (ჩაერევა). მერე. ქვის კედელი ვის ეშენებინა, ვიდრე გული არ გაუქვავდებოდა და თვითონაც შიგ არ ამოიქოლებოდა?

ს ი მ ე ო ნ ი. (უბრალოდ ამბობს). კაცს რომ თავი გიჭირს, სხვისთვის ვერ მოიცლი!

პ ი ტ ე რ ი. (ებენს). დედაშენი რომ გარდაიცვალა, შენ თხუთმეტი წლის იყავი, ჭკუა მშვენივრად გეკითხებოდა. შენ რა გააკეთე?

ე ბ ე ნ ი. (ცივად). ყველას ერთად უნდა გვეფიქრა ამაზე! (პაუზა. შემდეგ ნელა ამბობს) მაგრამ მე გვიან მივხვდი ყველაფერს, როცა ის უკვე ცოცხალი აღარ იყო. აი, ამ ღუმელთან რომ ვდგავარ და ვაკეთებ იმას, რასაც ის აკეთებდა, ახლა მესმის მისი. ისიც არ მშორდება. სულ ჩემს გვერდით ტრიალებს. ჩემთან ერთად ხარშავს კარტოფილს, წვავს ლორს, აცხობს ნამცხვრებს, უკეთებს ცეცხლს, გააქვს ნაცარი. გამუდმებით ვხედავ მის ნაცრითა და კვამლით დაწითლებულ აცრემლებულ თვალებს. საღამოობით სულ აქ არის, ამ ღუმელთან,... სიცოცხლეში არასოდეს დაუსვენია... მიჩვეული არ არის და ამიტომ საფლავშიაც ვერ ისვენებს...

ს ი მ ე ო ნ ი. არ მახსოვს რამეზე დაეჩივლოს...

ე ბ ე ნ ი. ძალიან იღლებოდა... ერთხელაც არ ამოუსუნთქავს შვებით... ყველაფერი მისი ბრალია! (ყვირის) ბოლოსდაბოლოს, ავდგები და ვეტყვი, რაც აქამდეც უნდა მეთქვა!... ერთს კარგად დავუღრიალებ, რომ დედამაც გაიგონოს. იქნებ მაშინ მაინც მოისვენოს საფლავში. (უცებ გაჩუმდება და დაჯდება. ჩაფიქრებული ზის. ძმები ცნობისმოყვარეობით უცქერენ).

პ ი ტ ე რ ი. (პაუზის შემდეგ). ახლა სად ჯანდაბაში წავიდა. როგორ გგონია, სიმ?

ს ი მ ე ო ნ ი. რას გაიგებ! ეტლში ჩაბრძანდა, მორთულ-მოკაზმული... ცხენიც დაევარცხნა, გაესუფთავებინა. მათრახს იქნევდა და რაღაცეებს გაჰყვიროდა. გუშინდელივით მახსოვს, გაზაფხული იყო, მაისი, მზე ჩადიოდა. დასავლეთი ოქროსფრად ელავდა... იმანაც დასავლეთისაკენ გააჭენა... „საით გაგიწევია მამი-მეთქი", დავუძახე. ჩვენს ყორეზე ოდნავ გადმოიხარა, თავისი გველური, ბებერი თვალები ისე უელავდა, ვიფიქრე, გადაკრულშია-მეთქი და გადმომძახა, „ჩემს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალო აქედანო".

პ ი ტ ე რ ი. იცოდა ნეტა, კალიფორნიაში რომ ვაპირებდით?

ს ი მ ე ო ნ ი. მე რა ვიცი. იქნებ იცოდა. არაფერი მიპასუხია... უცებ სახე შეეცვალა, მიყურებს საწყალი, საცოდავი თვალებით და მეუბნება: „დღედაღამ მესმის დედლების კრიახი და მამლების ყივილი, ძროხების გაუთავებელი ბღავილი. ყველაფერი ახმაურდა და ამოძრავდა. მეც ვეღარ გავუძელ. გაზაფხული მოვიდა და საშინელ გუნებაზე დავდექი", მეუბნება. „თავი გამხმარი ხე მგონია, რომელიც მარტო შეშად თუ გამოდგება", არ ვიცი, სახეზე სიხარული შემატყო თუ რა იყო. მერე ღვარძლიანად დაუმატა: „არ გეგონოს, ჩემი აღსასრული ახლოვდებოდეს, დავიფიცე, ას წლამდე ვიცოცხლო და ვიცოცხლებ კიდევაც თქვენს ჯინაზე. ახლა წავედი, რომ შევასრულო ღვთის ნება. თქვენ წადით, ხვნა დაასრულეთ". მერე სიმღერა შემოსძახა და გზას გაუდგა. ვიფიქრე, მთვრალია-მეთქი, თორემ დავიჭერდი და არ გავუშვებდი.

ე ბ ე ნ ი. დაიჭერდი, როგორ არა! რას გაბედავდი! ის თქვენზე ორივეზე ღონიერია.

პ ი ტ ე რ ი. (გესლიანად). შენ? შენ ხომ ხარ სამსონი!

ე ბ ე ნ ი. თუ არ ვარ, ვიქნები. ვგრძნობ, როგორ იზრდება რაღაც ძალა ჩემში. ერთხელაც, ამოხეთქავს... (წამოდგება, პიჯაკს ჩაიცვამს, ქუდს დაიხურავს და წასასვლელად ემზადება. ძმები ღიმილს ვერ იკავებენ).

ე ბ ე ნ ი. (გვერდზე იხედება) მე წავალ, გავივლი ცოტას.

პ ი ტ ე რ ი. საით, სოფელში მიდიხარ?

ს ი მ ე ო ნ ი. მინისთან?

ე ბ ე ნ ი. (გამომწვევად) დიახ!

პ ი ტ ე რ ი. უხ, ის მაცდური, ისა!

ს ი მ ე ო ნ ი. ძალა. ძალა კი არა, ვნება — აი რა იზრდება შენში!

ე ბ ე ნ ი. მინი ლამაზია!

პ ი ტ ე რ ი. იყო. ოცი წლის წინათ.

ს ი მ ე ო ნ ი. ისე იხატება, ორმოცი წლის ქალი პატარა გოგოდ მოგაჩვენებს თავს.

ე ბ ე ნ ი. ორმოცი წლის არ გახლავთ!

პ ი ტ ე რ ი. აღარც ბევრი უკლია.

ე ბ ე ნ ი: შენ რა იცი?

პ ი ტ ე რ ი. ვინ არ იცის... აი, სიმიც კარგად იცნობს. შემდეგ მე გავიცანი...

ს ი მ ე ო ნ ი. მამამაც იცის რაღაც-რაღაცეები. სულ პირველად მამამ გაიცნო.

ე ბ ე ნ ი. თქვენ რა იმის თქმა გინდათ, რომ...

ს ი მ ე ო ნ ი. (ღიმილით). დიახ, სწორედ იმის თქმა გვინდა, რომ...

ე ბ ე ნ ი. (ყვირის). გეყოფათ! კმარა! (გაბრაზდება) მივალ და დედას ვუტირებ! (კარს ძლიერად მოქაჩავს და ყურთამდე გააღებს).

ს ი მ ე ო ნ ი. (თვალს ჩაუკრავს პიტერს). ისეთი თბილი და მშვიდი ღამეა, იქ მისვლამდე ყველაფერი დაგავიწყდება... მიხვალ და აკოცებ!

პ ი ტ ე რ ი. აბა რას იზამს! (ორივენი გულიანად ხარხარებენ. ებენი გარეთ გავარდება და კარს გაიჯახუნებს).

ს ი მ ე ო ნ ი. როგორა ჰგავს მამას!

პ ი ტ ე რ ი. პირწავარდნილი მამაა!

ს ი მ ე ო ნ. ეგენი დაჭამენ ერთმანეთს!

პ ი ტ ე რ ი. უჰუ! (პაუზა. ამთქნარებენ) წამო, დავიძინოთ.

(სანთელს სულს უბერავენ. ოთახის სიღრმეში კარია და იქ შედიან).

(ებენი ჭიშკართან დგას. ცას უცქერის. უცებ ხელებს გაიშვერს ცისკენ).

ე ბ ე ნ ი. ვარსკვლავები. ეს ჩემია, ეს სიმის. ის პიტერის. იქით, გზაზე, მინის. რატომაც არ ვაკოცებ? მართლაც ამ ღამესავით თბილია და მშვიდი. თვალები ვარსკვლავებივით უელავს, მისი ტუჩები ტკბილია.... მკლავები თბილი.. მის სხეულს ახლად მოხნული მიწის სურნელი ასდის. ის მშვენიერია... უღმერთოდ მშვენიერია და რა ჩემი საქმეა მას ჩემამდე ვისთან ან როდის, ან რამდენჯერ შეუცოდავს, თუკი ეს ცოდვა ასე მშვენიერია...

გადის მარცხნივ.

## ს ც ე ნ ა მ ე ს ა მ ე

უკუნი ღამეა. საცაა ირიჟრაჟებს. ებენი საიდანაც გავიდა, იქიდან შემოდის. სახლისაკენ ფრთხილად მიიკვლევს გზას, თან რაღაცას ბურტყუნებს და თავისთვის იცინის.

ე ბ ე ნ ი. აი, შე ბებერო მელა! (სახლში შედის. პაუზა. ისმის მისი ფეხის ხმა კიბეზე, შემდეგ ხმამაღალი ბრახუნი ძმების საწოლი ოთახის კარზე). გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ!

ს ი მ ე ო ნ ი. (ღვიძებს). რომელი ხარ?

ე ბ ე ნ ი. (კარს ხელის კვრით შემოაღებს და ანთებული სანთლით ხელში შემოდის. ოთახი განათდება. სხვენივით ოთახია, ცალ მხარეს დაქანებული ჭერით. გამართულად დგომა მარტო ცალ კედელთან შეიძლება. სიმეონი და პიტერი ორმაგ საწოლზე წვანან შუაში. ებენის საწოლი სიღრმეში დგას. ებენი სულელურად იკრიჭება). მე ვარ!

პ ი ტ ე რ ი. (გაბრაზდება). მერე, რა ეშმაკები...

ე ბ ე ნ ი. ახალი ამბავი მოგიტანეთ!

ს ი მ ე ო ნ ი. (გულმოსული). დილამდე ვერ დაიცდიდი?

ე ბ ე ნ ი. უკვე დილაა. (უცებ) ცოლი შეირთო. გაიგეთ, ცოლი!

ს ი მ ე ო ნ ი და პ ი ტ ე რ ი. (სწრაფად) მამამ?

ე ბ ე ნ ი. სად გამოჩხრიკა. 34 წლის ლამაზი ქალიაო, ამბობენ.

ს ი მ ე ო ნ ი. (შეძრწუნებულია) ტყუილი იქნება.

პ ი ტ ე რ ი. ვინ გითხრა?

ს ი მ ე ო ნ ი. გაგასულელა ვიღაცამ.

ე ბ ე ნ ი: როგორ არა! მთელი სოფელი ლაპარაკობს. მღვდელი

ჩამოსულა ნიუ-დოვერიდან. იმას ჩამოუტანია ამბავი, ჩვენი მღვდლისთვის უთქვამს. ქალი იქაური ყოფილა. ეს ჩვენი ბებერი ბატი ნიუ-დოვერში წაბრძანებულა და შეურთავს...

პ ი ტ ე რ ი. ვაააა....!

ს ი მ ე ო ნ ი. ვააა....!

ე ბ ე ნ ი. (საწოლზე ჩამოჯდება) ხედავ? ეს რა გვიყო მაგ ეშმაკის მოციქულმა! მაგ ბებერმა ქორმა!

პ ი ტ ე რ ი. (პაუზის შემდეგ) ახლა ყველაფერს ის ქალი დაეპატრონება.

ს ი მ ე ო ნ ი. უჰუ! (პაუზა) ეს თუ მართლა ასე მოხდა...

პ ი ტ ე რ ი. მომხდარა და ეს არის (პაუზა) ახლა კალიფორნიისაკენ, სიმ. აქ აღარაფერი დაგვრჩენია!

ს ი მ ე ო ნ ი. სწორია! გათენდება თუ არა, მივდივართ, დღესვე.

პ ი ტ ე რ ი: კარგი.

ე ბ ე ნ ი. ფეხით მიდიხართ?

ს ი მ ე ო ნ ი. ფრთებს თუ გამოგვაბამ. გავფრინდებით!

ე ბ ე ნ ი. რატომ, შეგიძლიათ გემითაც გაცუროთ. ეს თქვენზეა დამოკიდებული. (ჯიბეებს მოქექავს და რაღაც დაჭმუჭნულ ქაღალდს ამოიღებს). ამაზე მომიწერეთ ხელი და მერე, რითიც მოგესურვებათ, იმით გაემგზავრებით. რა ხანია გავამზადე, ვუცდიდი, როდის გადაწყვეტდით წასვლას. აქ წერია, რომ თითოეულ თქვენთაგანს ვაძლევ 300 დოლარს იმ პირობით, თუ თქვენ სამაგიეროდ დამითმობთ თქვენს წილს ამ ფერმაში.

(ძმები ეჭვით უცქერდნენ ქაღალდს).

(პაუზა)

ს ი მ ე ო ნ ი. იმან თუ ცოლი შეირთო... სულერთია, ჩვენ...

პ ი ტ ე რ ი. შენ სადა გაქვს მაგდენი ფული?

ე ბ ე ნ ი. მე ვიცი სადაც არის ფული. საიდუმლოა. დედაჩემმა მითხრა. დედამ იცოდა. მაგრამ იცდიდა... ეს მისი ფულია. მისი ფერმა აძლევდა მამას ამ ფულს, ის კი მალავდა. კანონით ფული ახლა ჩემია.

პ ი ტ ე რ ი. მაინც სად არის ეგ ფული?

ე ბ ე ნ ი. იქ, სადაც უჩემოდ ვერავინ იპოვნის. დედა ჩუმად უთვალთვალებდა ერთხელ, თორემ მასაც არ ეცოდინებოდა. (პაუზა).

(ძმები ერთმანეთს უყურებენ. არ იციან როგორ მოიქცნენ).

ე ბ ე ნ ი. აბა, გადაწყვიტეთ...

ს ი მ ე ო ნ ი. არ ვიცი...

პ ი ტ ე რ ი. მეც არ ვიცი...

ს ი მ ე ო ნ ი. (ფანჯარას შეხედავს) თენდება!

პ ი ტ ე რ ი. წადი, ცეცხლი დაანთე, ებენ!

ს ი მ ე ო ნ ი. და გვაჭამე რამე.

ე ბ ე ნ ი. ახლავე. (ნაძალადევი მხიარულებით) მაგაზე როგორ გაწყენინებთ. კალიფორნიაში მიდიხართ და მშიერი თუ გაგიშვით, ხომ წაიქცევით გზაში! (კართან მივა, მოტრიალდება და დაუმატებს) ისე, გემს არაფერი ჯობია, მაგრამ... თქვენი საქმე თქვენ იცით. (კართან დგას და ძმებს უყურებს. ძმებიც უყურებენ).

ს ი მ ე ო ნ ი. (გამომცდელად). წუხელ სად ბრძანდებოდი?

ე ბ ე ნ ი. მინისთან. (პაუზა) მივდიოდი ჩემთვის და მინიზე ვფიქრობდი. უცებ გამახსენდა, რაც მითხარით. საშინლად გავბრაზდი. ვიფიქრე, მივიდე ერთი, დედას ვუტირებ-მეთქი. ამასობაში სოფელს მივადექი. იქ ეს ცხელ-ცხელი ამბავი მომართვეს. ამაზე სულ გადავირიე. არ ვიცოდი რა მექნა. გიჟივით მივვარდი მინისთან. (პაუზა) არც დედა ვუტირე და არც არაფერი. ჩემთვის რაღაცეებს ვღრიალებდი, ისე ვიყავი ჭკუაზე შეშლილი. მინის გული გაუსკდა. მე არც ვაცივე, არც ვაცხელე, ვეცი და... ის ახლა ჩემია! (ამაყად) დიახ, ჩემია! იმისი იყო. შენი იყო თუ სხვისი, ახლა ჩემია!

ს ი მ ე ო ნ ი. რაო, ხომ არ შეგიყვარდა?

ე ბ ე ნ ი. შემიყვარდა! მეტი საქმე არა მაქვს!

პ ი ტ ე რ ი. (სიმეონს თვალს ჩაუკრავს) მგონი ებენსაც მოჰყავს ცოლი.

ს ი მ ე ო ნ ი. მერე რა ერთგული ცოლი!

(იცინიან).

ე ბ ე ნ ი. მინი კეთილია. მე სხვას მას არაფერს ვთხოვ. იმისი იყოვო, ხომ მითხარით, ახლა ჩემია-მეთქი ვამბობ. მორჩა და გათავდა! (კართან მივა, უცებ მოტრიალდება) სხვათაშორის, მინი არც ისე ცუდია. რამდენიც გინდა, იმდენია მაგაზე უარესი ამ დუნიაზე. დაიცა, ჯერ ვნახოთ, ჩვენი ბებერი ვის მოგვიყვანს, მერე გამიხსენეთ. (კარს გამოაღებს).

ს ი მ ე ო ნ ი (სიტყვას დაადევნებს). ისიც შენი ხომ არ გახდება, თუ იცი?

პ ი ტ ე რ ი. ჰა, ჰა, ჰა.

(ღვარძლიანად იცინის)

ე ბ ე ნ ი. (გადააფურთხებს) ვინ: ქალი, რომელიც იმის გულისათვის წამოჰყვა მამაჩემს, რომ დედაჩემის ფერმა მიისაკუთროს? მაგას მირჩევნია აქოთებულ სკუნსს ვეფერო ან გველი ვკოცნო... (გადის).

(პაუზა. ისმის როგორ ხმაურობს სამზარეულოში).

პ ი ტ ე რ ი. ცეცხლი დაანთო...

ს ი მ ე ო ნ ი. კალიფორნია კარგია, მაგრამ...

პ ი ტ ე რ ი. მინიმ ხომ არ დაქოქა?

ს ი მ ე ო ნ ი. ჭორი არ იყოს. დაგვეცადა. გვენახა პატარძალი.

პ ი ტ ე რ ი. მანამდე არ მოვუწეროთ ხელი.

ს ი მ ე ო ნ ი. არა. ჯერ ფული მოგვცეს. (იცინის) ისე, მამამ თუ ცოლი შეირთო, ჩვენ აღარც არაფერი გვერგება, რომ იცოდე. ჰოდა, მივყიდოთ ებენს ის, რაც ჩვენი არც არის და არც იქნება, რა გენაღვლება.

პ ი ტ ე რ ი. დაიცა, დაიცა! (გაბრაზებული) იცი რა, სანამ ის არ დაბრუნდება, მოდი, მე და შენ თითიც არ გავანძრიოთ. ებენმა იტეხოს თავი, თუ ძალიან უნდა. ჩვენ ვიძინოთ, ვჭამოთ და ვსვათ. ჯანდაბას ეს ფერმა!

ს ი მ ე ო ნ ი. სწორია. ერთხელ ჩვენც ვიცხოვროთ ადამიანურად. სანამ საუზმე არ გამზადდება, არ ავდგები!

პ ი ტ ე რ ი. სუფრა გააწყონ და დაგვიძახონ!

(პაუზა).

ს ი მ ე ო ნ ი. (ჩაფიქრებული) საინტერესოა, როგორი იქნება ჩვენი ახალი დედიკო. ებენი რომ ამბობს, მართლა ისეთი?

პ ი ტ ე რ ი. შეიძლება!

ს ი მ ე ო ნ ი. ღმერთმა ჰქნას. ნამდვილი ტარტაროზი იყოს, რომ მამაჩვენს სიკვდილი მონატროს და ჯოჯოხეთი სამოთხედ მოაჩვენოს!

პ ი ტ ე რ ი. ამინ!

ს ი მ ე ო ნ ი. (მამას აჯავრებს) „მე წაველი, რომ შევასრულო ღვთის ნება". თავს მოვიჭრი, თუ მაშინვე არ იცოდა, სადაც მიტუნტულებდა ეგ ბებერი გაიძვერა, ეგა!

## ს ც ე ნ ა მ ე ო თ ხ ე

სამზარეულო. მაგიდაზე სანთელი ანთია. გარეთ ნელ-ნელა თენდება. სიმეონი და პიტერი საუზმობენ. ებენი ზის. საჭმლისთვის პირი არ დაუკარებია. ჩაფიქრებულია.

პ ი ტ ე რ ი. (ებენს) რას ჩამოგიყრია ყურები?

ს ი მ ე ო ნ ი. (გაიცინებს) თავის სიყვარულზე ფიქრობს.

პ ი ტ ე რ ი. (იცინის) პირველია?

ე ბ ე ნ ი. (გაბრაზებით) რა თქვენი საქმეა! (პაუზა) არა. იმაზე არ ვფიქრობ. უკვე ახლოა სადღაც. მის მოახლოებას ისე ვგრძნობ, როგორც შეციებას იგრძნობ ხოლმე ტანში ავად გახდომამდე.

პ ი ტ ე რ ი. ასე დილაუთენია არ მოვა.

ს ი მ ე ო ნ ი. გეგონოს. ვითომ არ იცი, როგორ უყვარს მოულოდნელად თავზე წამოდგომა. გაიგოს, რას აკეთებ.

პ ი ტ ე რ ი. (უნებურად წამოდგება. სიმეონიც წამოიწევა) უჰ, წამო, ვიმუშაოთ... (ორივენი დაუფიქრებლად წავლენ კარისაკენ, მაგრამ უცებ შედგებიან).

ს ი მ ე ო ნ ი. (იცინის) რა სულელი ხარ პიტ! მეც სულ გამოვშტერდი! მობრძანდეს და ნახოს, რომ არ ვმუშაობთ, დიდი ამბავი!

(მოტრიალდებიან და ისევ მაგიდას მიუსხდებიან)

პ ი ტ ე რ ი. სწორია. ნახოს, რომ სულაც არ გვეშინია მისი. (ებენი გაოცებული მისჩერებია ხან ერთს, ხან მეორეს).

პ ი ტ ე რ ი. დავიღალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმეონი. ახლა შენა ხარ აქ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი... რა თქმა უნდა, ვიდრე ის მოვა... შენი ოცნებაც ხომ ეს იყო. აბა, გვიჩვენე, როგორ გაუძლვები საქმეს მარტო!

პიტერი. ძროხები ბღავიან. ჩქარა, გაიქეცი, მოწველე!

ებენი. (გახარებული) გადაწყვიტეთ ხელი მომიწეროთ?

სიმეონი. (ცივად) ვნახოთ.

პიტერი. ვნახოთ.

სიმეონი. ჯერ ვფიქრობთ. (ბრძანებით) წადი, საქმეს მიხედე!

ებენი. (აღელდება) დედაჩემის ფერმა! ჩემი ფერმა! ჩემი ძროხები! ჩემს ძროხებს მე თვითონ მოვწველი!

(უკანა კარიდან გადის).

სიმეონი. როგორა ჰგავს მამას!

პიტერი. პირწავარდნილი მამაა!

სიმეონი. ეგენი დაჭამენ ერთმანეთს.

(ებენი გარეთ გამოდის. მზე წითლად ამოენთება და ცა ნელ-ნელა ნათდება. ებენი ჭიშკართან შეჩერდება და თვალს მოავლებს იქაურობას).

ებენი. რა ლამაზია. დალახვროს ეშმაკმა! და ეს ყველაფერი ჩემია!

(თავს მაღლა ასწევს და ცას შეხედავს).

ჩემია, ჩემი!

(გატრიალდება და გავა).

(ძმები ჩიბუხს უკიდებენ).

სიმეონი. (ტალახიან ფეხებს მაგიდაზე შემოსდებს. სკამის ზურგს გადააწვება და არხეინად გააბოლებს) იფ! დასვენებაც ამას ჰქვია!

პიტერი. (ისიც ძმას ჰბაძავს) უჰუ! (პაუზა. ორივე ამოიოხრებს).

სიმეონი. (უცებ) რა იცის ებენმა ძროხის მოწველა!

პიტერი. (ჩაიცინებს) მაგან რა უნდა მოწველოს!

(პაუზა).

სიმეონი. ერთი ის დოქი გადმოიღე, ყელი გამიშრა! გულიც დამძიმებული მაქვს.

პიტერი. დიდებული აზრია. (ორი ჭიქა გამოაქვს და ჩამოასხამს). გაუმარჯოს კალიფორნიის ოქროს!

სიმეონი. ჩვენი სახით, ოქროს მაძიებლებსაც გაუმარჯოს!

(სვამენ. ამოისუნთქავენ. ამოიოხრებენ. ფეხს ჩამოიღებენ მაგიდიდან).

პიტერი. თავში ამივარდა.

სიმეონი. აბა ვის გაუგია ასე უთენია სმა.

(პაუზა. რაღაც მოუსვენრად არიან).

პიტერი. სული შემეხუთა ამ სამზარეულოში, დავიხრჩვი!

სიმეონი. (მხიარულად) წამო, სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ!

(უკანა კარიდან გადიან. სახლს გარშემო შემოუვლიან და ჭიშკართან მივლენ. აღტაცებულნი ცას უცქერენ).

პიტერი. რა ლამაზია!

სიმეონი. ოჰ, ოქრო ახლა აღმოსავლეთში წასულა!

პიტერი. მზე ჩვენ წამოგვყვება ოქროს დასავლეთში.

სიმეონი. (მიიხედ-მოიხედავს) (ღელავს) იქნებ ეს ჩვენი უკანასკნელი დილაა აქ.

პიტერი. ჰო.

სიმეონი. (ფეხს დაჰკრავს მიწას და წასძახებს) ოცდაათი წლის სიცოცხლე შენ განაცვალე. რამდენი ოფლი და სისხლი ჩამიღვრია აქ. გაგამდიდრე. გაგანაყოფიერე და რა ვარ მე შენთვის? ნაკელი... მეტი არაფერი.

პიტერი. მეც, მეც.

სიმეონი. ჰო, შენც პიტერ. (ამოიოხრებს, მერე გადააფურთხებს) რაც იყო, იყო. გვეყოფა წუწუნი.

პიტერი. ჩვენ აქ ქვის კედლის მონები ვიყავით. იქ კი ოქროები და თავისუფლება გველის!

სიმეონი. ამიერიდან მორჩა, გათავდა ჩვენი მონობა!

(პაუზა).

ნეტავი ებენი რას შვრება?

პიტერი. ნუ გეშინია, მოახერხებს რა?ეს.

სიმეონი. მოდი, უკანასკნელად მოვეხმაროთ.

პიტერი. კარგი. ძროხები ჩვენთან მიჩვეულები არიან.

სიმეონი. იმათ ჩვენ ვუყვარვართ. ებენს იუცხოებენ.

პიტერი. ცხენებიც. გოჭებიც, წიწილებიც, ყველანი...

სიმეონი. მიგვეჩვიენ, ვუყვარვართ. (ამაყად) ჩვენ დავზარდეთ... ყველანი ჯიშიანი გამოვიყვანეთ!

პიტერი. ახლა ეს ყველაფერი სხვისი იქნება.

სიმეონი. ჰო (გამოცოცხლდება) წავედით, მივეხმაროთ!

პიტერი. წამო.

(შემორბის აღელვებული ებენი)

ებენი. (სულს ძლივს ითქვამს) მოდიან, მოდიან, ჩვენი ქოფაკი და მისი პატარძალი. ბოსლიდან დავინახე. ქვემოთ, მოსახვევში შემოუხვიეს.

პიტერი. იმსიშორეზე რა დაინახე?!

ებენი. იმასავით ბრუტიანი კი არა ვარ. ჩვენს ცხენს და ეტლს ვეღარ ვიცნობ! ორნი სხედან. გული მიგრძნობდა... ხომ ვამბობდი, ახლოს არის-მეთქი.

(მოუთმენლობისაგან სულ იგრიხება).

პიტერი. (გაბრაზებული) მე ცხენს არ ჩამოვართმევ, რაც უნდა ის უქნია.

სიმეონი. მოვხვეტოთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და მოვა თუ არა, წავიდეთ. ეგ რომ მოვა, მე შინ აღარ შევალ!

(სახლისაკენ წავლენ. ებენი გაედევნება).

ებენი. (აღელვებული) მომიწერეთ ბარემ ხელი!

პიტერი. შენ ჯერ ფული მოიტა!

(სახლს მარცხენა მხრიდან უვლიან. მეორე სართულზე ავლენ. ებენი სამზარეულოში შევარდება. ფანჯარასთან მიირბენს. მოათვალიერებს ხომ არავინ მიყურებსო და მერე ღუმელის ქვეშ იატაკს ფიცარს ახდის. რაღაც ტოპრაკს ამოიღებს, მაგიდაზე დადებს. ის არის ფიცარს გაასწორებს, რომ ძმებიც შემოდიან. ძველ საკვოიაჟებს მოათრევენ).

ებენი. (ტოპრაკს ხელს დაადებს) მოაწერეთ?

სიმეონი. (ქაღალდს უჩვენებს) ჰო, ფული ეს არის?

ებენი. (ტოპრაკს გახსნის) მაგიდაზე ოქროს ოცდოლარიანი (მონეტები გადმოცვივა) ოცდოლარიანებია. ოცდაათი ცალი. დათვალეთ.

(პიტერი ითვლის. სვეტებად აწყობს. ზოგიერთს კბილით სინჯავს).

პიტერი. ექვსასი. (უკანვე ჩაჰყრის ტოპრაკში და ტოპრაკს უბეში ჩაიდებს).

სიმეონი. (ქაღალდს გადასცემს ებენს) აჰა, ეს შენ!

ებენი. (დახედავს. მერე ფრთხილად დაკეცავს და უბეში იდებს). მადლობელი ვარ!

პიტერი. ჩვენც მადლობელი ვართ.

სიმეონი. საშობაოდ ოქროს ნატეხს გამოგიგზავნით საჩუქრად.

(პაუზა. ძმები დგანან და ერთმანეთს უყურებენ).

პიტერი. (დაბნეულად) აბა, წავედით!

სიმეონი. ეზოში არ გაგვაცილებ?

ებენი. არა. მე აქ დაველოდები.

(ისევ სიჩუმე ჩამოვარდება. ძმები უხერხულად მიდიან კარისკენ. კართან შედგებიან, მოტრიალდებიან)

სიმეონი. მაშ, მშვიდობით!

პიტერი. მშვიდობით!

ებენი. მშვიდობით.

(ძმები გადიან. ებენი მაგიდასთან ჩამოჯდება, სახით ღუმელისაკენ. ქაღალდს ამოიღებს. ხან ქაღალდს უყურებს. ხან ღუმელს. ამომავალი მზის შუქი ფანჯრიდან სახეზე ეფინება. არაამქვეყნიური, გამოთიშული სახე აქვს და რაღაცას ბუტბუტებს. ძმები ეზოში გამოვლენ).

პიტერი. ალბათ უკვე თავლაშია.

სიმეონი. (ჩაიცინებს) და როგორც ყოველთვის, გაცოფებულია!

პიტერი. ცოლიც გვერდით ჰყავს.

სიმეონი. დედიკო არ უნდა ვნახოთ?

პიტერი. (იკრიჭება) წასვლისას მამიკოს არ ვაკოცოთ?

სიმეონი. (იცინის) რა ბედნიერი ვარ! ასე მგონია არც თავი მაქვს, არც ხელები, არც ფეხები,...

პიტერი. მეც მასე ვარ...

სიმეონი. დავთვერით?

პიტერი. თითქოს არა, მაგრამ ფეხი კი ვერ გამიჩერებია, სულ მინდა ვიარო, ვიხტუნო. და...

სიმეონი. ვიცეკვო! (პაუზა).

პიტერი. საოცარია....

სიმეონი. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სკოლიდან დამითხოვეს. არდადეგები დაიწყო, თავისუფალი ვარ...

პიტერი. თავისუფალი?

სიმეონი. ჩამოვიხსენით ყველა ბორკილი, ჩამოვიშორეთ ყველა ტვირთი! ქვის კედელი დაინგრა! გაუმარჯოს თავისუფლებას, წინ!

პიტერი (ჩაისუნთქავს და რიტორულად ამბობს) თუ ვინმეს გსურდეთ ეს დამპალი ფერმა ქვებით და ლორღით, — მიბოძებია! ჩვენ არ გვჭირდება!

სიმეონი. (ჰიშკარს ჩამოხსნის და იღლიაში ამოიჩრის) ჩამოვხსნით ყველა ჭიშკარს, ღიას და დაკეტილს...

პიტერი. და თან წავიღებთ, რომ ბედნიერება მოგვიტანოს. მერე წყალს გავატანთ.

სიმეონი. (ისმის ხმაური) მოდიან!

(ძმები ადგილზე გაქვავდებიან).

შემოდიან ეფრაიმ ქებოტი და ები პატნემი. ქებოტი 75 წლის მაღალი, ჩაფსკვნილი კაცია, ძლიერი, ღონიერი, მაგრამ შრომისაგან ოდნავ წელში მოხრილი. ამაყი, მკაცრი სახე აქვს, თითქოს ქვისაგან გამოუთლიათო, მაგრამ ამ სიამაყეში რაღაც სისუსტეც იგრძნობა. ახლოსმხედველია და თავის წვრილ, ახლოს ჩამჯდარ თვალებს მუდამ ჭუტავს, როცა ვინმეს ან რაიმეს უყურებს. მომნუსხველი ყურება იცის. შავი, საკვირაო კოსტუმი აცვია.

ები 35 წლის სიცოცხლით სავსე, ეშხიანი ქალია. მრგვალი, ლამაზი სახე აქვს, რომელსაც ოდნავ აუბრალოებს მისი გადაჭარბებული ვნებიანობა. მის გამოხედვაში იგრძნობა დიდი შინაგანი ძალა და ნებისყოფა. მოუსვენარია, მოუთოკავი, ჯიუტი. ამით ის ებენს ჩამოგავს.

ქებოტი. (გაბრაზებულ ხმაში უჩვეულო აღელვება ემჩნევა და შემოსვლისთანავე ამბობს) აი, ჩვენ უკვე შინა ვართ. ები!

ები. (ბედნიერია) შიἑ! (თვალს ხარბად მოავლებს იქაურობას ჭიშკართან გაქვავებულ ძმებს ვერ ამჩნევს) რა ლამაზია აქაურობა! ნუთუ ეს ყველაფერი ჩემია?!

ქებოტი. (ცივად) შენი კი არა, ჩემია! (ჩაციებით უცქერის. ები თვალს უსწორებს. ქებოტი მოლბება) ჰო, შენიც არის, ალბათ, რამდენი ხანია მარტო ვარ. გაზაფხულის ყოველი მოსვლა მაბერებდა და მაძაბუნებდა. სახლი ცოდოა უქალოდ!

ები. ქალიც ცოდოა უოჯახოდ!

ქებოტი (თავს დაუქნევს, შემდეგ უცებ გაბრაზდება) სად არიან. რატომ არ მუშაობენ, რასა ჰგავს ეს?

ები. (ძმებს დაინახავს, რომლებიც ცივად მისჩერებიან მას. ებიც ცნობისმოყვარეობით უმზერს და ნელა ამბობს) აგე, იქ ვიღაც ორი კაცი ჭიშკართან აყუდებულა და თვალს არ მაშორებს.

ქებოტი. (თვალებს მოჭუტავს) ვხედავ. ესენი მე მგონი...

სიმეონი. სიმეონია.

პიტერი. და პიტერი.

ქებოტი. (აფეთქდება) რატომ არ მუშაობთ?

სიმეონი. (ცივად) შენს შესახვედრად გამოვედით. შენი და შენი პატარძლის.

ქებოტი. (არ ელოდა) ა, ჰო. ეს თქვენი ახალი დედაა, ბიჭებო.

(ები და ბიჭები ერთმანეთს უყურებენ).

სიმეონი. (გვერდზე გაიხედავს, გადააფურთხებს) ვხედავ.

პიტერი. (ისიც იფურთხება) მეც ვხედავ.

ები. (გამარჯვებულის საზეიმო სახით დგას) მე წავალ, დავათვალიერებ ჩემს სახლს (ნელა მიდის სახლისაკენ).

სიმეონი. (ჩაიფრუტუნებს) მაგისი სახლი!

პიტერი. (ების გასძახებს) იქ ებენია. ერთი იმასაც უთხარით, ეს სახლი ჩემიაო.

ები. ებენი? (წყნარად) ებენსაც ვეტყვი!

ქებოტი. (აგდებულად) ებენს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ჩერჩეტია დედამისივით.

სიმეონი. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა. ებენი შენი ასლი და პირია. კირკიტი კაკალია შენსავით. და ძაღლი ძაღლის ტყავს თუ არ დახევს, აბა ნახე! ცოტაც დაიცა მოხუცო და მერე უყურე!

ქებოტი. (ბრძანებით) თქვენ ეი, წადით საქმეს მიხედეთ!

სიმეონი. (როგორც კი ები სახლში შევა, პიტერს თვალს ჩაუკრავს) მაშ ეს არის ჩვენი ახალი დედიკო? სად ეშმაკებში გამოჩხრიკე? (ის და პიტერი იცინიან).

პიტერი: ჰა, ჰა, ჰა. მაგას სახლში რა უნდა. ღორებთან შეუშვი, ღორებთან!

(ძმები ხარხარებენ და ბარძაყზე ხელს ირტყამენ)

ქებოტი. (იმდენად გაოცებულია, რომ დაიბნა) სიმეონ! პიტერ! რა დაგემართათ? მთვრალები ხართ?

სიმეონი. თავისუფლები ვართ, მოხუცო, თავისუფლები შენგან..., ამ დაწყევლილი ფერმისაგან...! (ძმები გადაჭარბებულად გამხიარულდნენ).

პიტერი. მივდივართ... კალიფორნიის ოქროს ტრამალებში...

სიმეონი: აქაურობას რაც გაგეხარდება, ის უყავი. თუ გინდა, დაწვი!

პიტერი. თუ გინდა, მიანგრ-მოანგრიე. ჩვენი საქმე არ არის.

სიმეონი. ჩვენ თავისუფლები ვართ მოხუცო!

(ხტუნავს).

პიტერი. თავისუფლები!

(ცეკვავს).

სიმეონი. ალეე, ჰოპ!

პიტერი: ჰოპ!

(ორივენი ქებოტის გარშემო დახტიან. ინდიელთა საომარი ცეკვის ილეთებს აკეთებენ, და რაღაცეებს გაჰყვირიან. ქებოტი თან ბრაზდება, თან ეჭვობს, ხომ არ გაგიჟებულანო).

სიმეონი. თავისუფალი ვართ! მადლობა გვითხარი, რომ სკალპს არ გაჭრით!

პიტერი. ფერმას არ გიწვავთ. საქონელს არ გიხოცავთ!

სიმეონი. შენს ახალ ცოლს არ ვაუპატიურებთ! ჰოპ!

(ხარხარებენ, ერთმანეთს აწყდებიან)

ქებოტი. (განზე გადგება) ოქრომ გაგასულელათ, კალიფორნიის ცოდვილმა ოქრომ. მაგან გაგაგიჟათ!

სიმეონი. შენ რა, თორემ უარს იტყოდი მაგ ცოდვილ ოქროზე, შე მართლა ცოდვილო!

პიტერი. ოქრო კალიფორნიის გარდა სხვაგანაც არის, მაშ!

(გატრიალდება რომ ქებოტმა არ დაინახოს, ტოპრაკიდან ოქროს მონეტას ამოიღებს და სიცილით ჰაერში შეათამაშებს).

სიმეონი. ვახ, სულო ცოდვილო!

პიტერი. გემით მივცურავთ, ჰოპ!

(რამდენჯერმე შეხტება).

სიმეონი. გაუმარჯოს თავისუფლებას! ჰოპ!

(ისიც ხტუნავს)

ქებოტი. (მოთმინებიდან გამოდის და დაიღრიალებს) წყეულიმც იყავით!

სიმეონი: ოჰო-ჰო. არ შემაშინო! ჰოპ!

ქებოტი. საგიჟეში გამოგამწყვდევთ!

პიტერი. მშვიდობით, ბებერო წუწურაქო!

სიმეონი. შე ბებერო სისხლისმსმელო, მშვიდობით!

ქებოტი. მომწყდით თავიდან, თქვე..

პიტერი. ჰოოპ!

(ქვას აიღებს შარაზე. სიმეონიც აიღებს).

სიმეონი. დედიკო სასტუმრო ოთახში იქნება, არა?

პიტერი. ერთი.., ორი...

ქებოტი (შეშინდება) თქვენ რას...

პიტერი. სამი!

(ერთად გაისვრიან და სასტუმრო ოთახის მინა წკრიალით ჩაიმსხვრევა).

სიმეონი. ჰოპ!

პიტერი. ჰოპ!

ქებოტი. (განრისხებული მათკენ გაექანება) მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! მანდ დამიდექით, ისე დაგნაყოთ, რომ ძვალი და რბილი გაგიერთიანოთ!

ძმები გარბიან. სიმეონი იღლიაში ჭიშკარამოჩრილი გარბის. ქებოტი უკან მოტრიალდება. ბრაზი აღრჩობს. შორიდან მოისმის წასულების სიმღერა. ოქროსმაძიებელთა ძველი სიმღერის, „ო, სუზანას“ მოტივზე მღერიან.

როდესაც გემზე ავედი,
და გადავცურე ზღვა,
შინ მომინდა და ვიფიქრე,
ო, ეს მე ვარ თუ სხვა...
ო, კალიფორნია,
მხარევ საოცნებო,
შენთან მოვდივარ.
ჯიბეცარიელი...

(ამასობაში მეორე სართულზე, მარჯვნივ, საწოლი ოთახის ფანჯარა იღება და ები თავს გადმოყოფს. ქებოტს გადმოხედავს და ამოისუნთქავს).

ე ბ ი. წავიდნენ, როგორც იქნა! (ქებოტი ხმას არ იღებს) რა ლამაზი ოთახებია, ეფრაიმ! რა ლამაზი საწოლი დგას! ეს ოთახი ხომ ჩემია, ეფრაიმ?

ქ ე ბ ო ტ ი. (თავი არ აუღია მაღლა) შენია!

(ების ზიზღი გამოეხატება სახეზე, ოთახში შევა და ფანჯარას მოხურავს).

ქ ე ბ ო ტ ი. (უცებ საშინელი აზრი გაუელვებს თავში) რაღაცა ჩაიდინეს ნამდვილად! საქონელი ხომ არ გამიწყვიტეს?! ა?

(სირბილით გადის).

(სამზარეულო. კარი იღება. სამზარეულოში შემოდის ები. იგი წუთით კართან შედგება და ებენს ათვალიერებს. ებენი მას ვერ ამჩნევს. ების აშკარად მოეწონა ებენი, ახალგაზრდა, ღონიერი. ლამაზი მამაკაცი. ებენი იგრძნობს, ვიღაც შემოვიდაო და თავს ასწევს. ერთმანეთს უყურებენ. ებენი ფეხზე წამოხტება).

ე ბ ი. (ხმას გაინაზებს და მთელი სცენა ასე ლაპარაკობს) შენ ებენი ხარ, ხომ? მე ები მქვია. (იცინის) შენი ახალი დედა ვარ!

ე ბ ე ნ ი. (გაბრაზებით) ჯანდაბაში წასულხარ!

ე ბ ი. (თითქოს არ გაუგონია ებენის ნათქვამი, უცნაურად უღიმის) მამაშენმა ბევრი რამ მიამბო შენზე.

ე ბ ე ნ ი. ჰა, ჰა, ჰა.

ე ბ ი. მამას ნუ დასცინი. ის მოხუცია. (გრძელი პაუზა. ერთმანეთს თვალებში უყურებენ) ხომ არ გგონია, რომ მე მართლა დედაშენად წარმოვიდგენ თავს? (აღტაცებული უყურებს) შენ საამისოდ მეტისმეტად დიდი და ძლიერი ხარ. მეგობრები ვიყოთ. ებენ! იქნებ ცოტა მაინც შეგიმსუბუქო ცხოვრება. შენი და მამაშენის ურთიერთობასაც მოვაგვარებ. (ამაყად) რასაც გინდა, იმას გააკეთებს ჩემი გულისთვის.

ე ბ ე ნ ი. (დაცინვით) ხა! (ერთმანეთს უყურებენ, ებენი იშმუშნება. ქალი მოსწონს, მისკენ რაღაც ძალა ეწევა, მაგრამ გადალახავს ამ წუთიერ სისუსტეს და უხეშად შეუბღვერს) დაგწყევლოს ღმერთმა!

ე ბ ი. (წყნარად) თუ ჩემი წყევლა ასე გსიამოვნებს, მწყევლე, რამდენიც გინდა. მე ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე დაიწყებოდა... მართალი ხარ. ვინა ვარ მე შენთვის? ვიღაცა ქალი, რომელიც მოვიდა და დედაშენის ადგილი დაიკავა. (ებენი გაოცებული შემოხედავს. ები თვალს არ აშორებს) დედა ალბათ როგორ გიყვარდა... მე ადრე დავკარგე დედა, საერთოდ არ მახსოვს... (პაუზა) შენი სიძულვილი დიდხანს არ გასტანს, ებენ! განა მე მართლა ასე ცუდი ვარ! თანაც მე და შენ ხომ იმდენი რამ გვაქვს საერთო... დაგინახე და მაშინვე მივხვდი ამას. მეც ძალიან მძიმე ცხოვრება გამოვიარე... სულ შრომა და ჯაფა.. მადლობელი კი არავინაა... ადრე დავობლდი და მას აქეთ ხან ვის კარზე ვმუშაობ და ხან ვის. მერე გავთხოვდი, ჩემი ქმარი ლოთი გამოდგა... მე ისევ სხვის კარზე ვცხოვრობდი, სხვებისათვის ვიდგამდი წელებზე ფეხს. ჯერ ბავშვი მომიკვდა... მერე ქმარი... დიდად არ დავმწუხრებულვარ, პირიქით. თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ სხვის ჭერს შეფარებულს რა თავისუფლება მექნებოდა. ასე მეგონა, სულ ასე ძაღლუმადურად უნდა გავატარო ჩემი ცხოვრება, ალარასოდეს მეღირსება საკუთარი კერა-მეთქი, მაგრამ აი, გამოჩნდა მამაშენი და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შემოდის ქებოტი, მიდის ჭიშკართან, გზას გასცქერის. შორიდან მოისმის სიმღერა „ო. კალიფორნია“, ქებოტი დაბლვერილი, მუშტებმოკუმული დგას).

ე ბ ე ნ ი. (ებიმ ძალიან გაიტაცა. მაგრამ არ იმჩნევს და ყვირის) გიყიდა, როგორც კახპა!

(ები გაშრა, არ ელოდა და სისხლი აუვარდა სახეში).

ე ბ ე ნ ი. (გააფთრებულია) საფასურად რას გაძლევს, როგორ შეთანხმდით? ამ ჩემს ფერმას ალბათ! დედაჩემის ფერმას, ჩემს ფერმას...!

ე ბ ი. (ჩაიცინებს) შენი ფერმა? მაგასაც ვნახავთ! (გამომწვევად) დიახ, მე ოჯახი მინდა, სხვა რისთვის გავყვებოდი იმ ბებერს...

ე ბ ე ნ ი. აი მაგას მე მამაჩემს მოვახსენებ!

ე ბ ი. (იღიმება) უცებ არ დაგიჯეროს. მე ვეტყვი, განგებ მიგონებს-მეთქი და სულაც გაგაგდებს აქედან!

ე ბ ე ნ ი. წყეულო!

ე ბ ი. (მის გამოსაჯავრებლად ამბობს) ეს ჩემი ფერმაა! ჩემი სახლია! ჩემი სამზარეულოა!

ე ბ ე ნ ი. (მთელი ხმით დაიღრიალებს) გაჩუმდი!

ე ბ ი. (მიუახლოვდება და თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ვნებიანად ეუბნება) იქ, მაღლა, ჩემი ოთახია! ჩემი საწოლი!

(ებენი თვალებში ჩასცქერის, დაბნეულია. ები ნაზად ამბობს)

მე არავინ მძულს... მტრების გარდა... ცხოვრებამ ბრძოლა მასწავლა და თავს არავის დავაჩაგვრინებ! (მკლავზე ჰკიდებს ხელს) მოდი, მეგობრები ვიყოთ, ებენ!

ე ბ ე ნ ი. (მოჯადოებულივით) ჰო... (პაუზა) (უცებ ხელს გამოგლეჯს) არა. უხ, შე კუდიანო! მძულხარ!

(გარეთ გავარდება).

ე ბ ი. (ღიმილით გააყოლებს თვალს და თავისთვის ამბობს) ებენი კარგი ყოფილა! (მერე მაგიდას გადახედავს) ახლა მე ჩემს ჭურჭელს დავრეცხავ!

(ებენი გარეთ გამოდის. ეზოში მამას დაინახავს და შედგება. ზიზღით უყურებს).

ქ ე ბ ო ტ ი. (ხელს ცისკენ გაიშვერს) ღმერთო ძლიერო! შენ მიუზღე სამაგიერო ყველა ურჩ შვილს!

ე ბ ე ნ ი. (თავისთვის) შენ და შენი ღმერთი! წყევლის მეტი არაფერი იცით!

ქ ე ბ ო ტ ი. ღმერთო, მოხუცთა შემწევ! ღმერთო, მიტოვებულთა მფარველო!

ე ბ ე ნ ი. (აგდებულად) ჯანდაბისაკენ გზა გქონიათ ორივეს!

(ქებოტი შემოტრიალდება. ერთმანეთს უყურებენ).

ქ ე ბ ო ტ ი. (ცივად) აი თურმე როგორი ყოფილხარ! (თითს დაუქნევს) ღმერთს ნუ სცოდავ! (საჩქაროდ დაუმატებს) შენ... რატომ არ მუშაობ?

ე ბ ე ნ ი. შენ რატომ არ მუშაობ? ისინი წავიდნენ. მე რა უნდა ვქნა მარტომ?

ქ ე ბ ო ტ ი. (დაცინვით) ვერაფერს ვერ იზამ. ან რა შეგიძლია. შენისთანას ათს კიდევ ვაჯობებ ჩემი ხნის კაცი! კაცი კი არა, კაცუნა ხარ! (წყნარად, უბრალოდ). წამო ძროხებს დავხედოთ.

(გადიან. შორიდან ისევ მოისმის „ო, კალიფორნია. მხარევ საოცნებო...“ ები თ ა ვ ი ს ჭურჭელს რეცხავს).

ფარდა.

## მოქმედება მეორე

### ს ც ე ნ ა  პ ი რ ვ ე ლ ი

ორი თვე გავიდა. ზაფხულის ცხელი დღეა. ლამაზ კაბაში გამოწყობილი ები ზის საქანაო სკამში კართანასთან. სიცხით გათანგული და თვალებმინაბული ზანტად ქანაობს.

ებენი საწოლი ოთახის ფანჯრიდან გადმოიხედავს. ეზოს მოათვალიერებს. ები იგრძნობს მის გამოჩენას. ქანაობას შეწყვეტს, დაიძაბება და გაირინდება. ებენიც იგრძნობს (ერთმანეთს ვერ ხედავენ) რომ ები იქვეა. მერე თავისი სისუსტით გაბრაზებული იფურთხება და ფანჯარას შორდება.

ები ღელავს. სუნთქვაშეკრული მთელი გულისყურით სახლისკენ არის, რა ხდება იქ.

ებენი ეზოში გამოდის. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებიან. ებენი დაიბნევა და უხერხულობის დასაფარავად ზურგს უკან კარს ძლიერად მიაჯახუნებს. ები ნაძალადევად იცინის. ებენი იღუშება, კართანადან ჩამოდის და ების ისე ჩაუვლის, თითქოს ვერ ამჩნევს. საკვირაო კოსტუმში გამოწყობილა, დაუბანია, დაუვარცხნია, გაწკრიალებულა. ები წინ გადმოიხრება. თვალები ბრაზით უელავს. ებენი რომ ჩაუვლის, დამცინავ, ნაძალადევ სიცილს იწყებს.

**ე ბ ე ნ ი.** (გულმოსული) **რას ხედავ სასაცილოს?**

**ე ბ ი. შენ!**

**ე ბ ე ნ ი. მე?**

**ე ბ ი. ჰო. გასაყიდად გამზადებულ ხარს ჰგავხარ.**

**ე ბ ე ნ ი. შენ... შენც კარგი რამე ხარ...**

(უცებ ერთმანეთს შეხედავენ. ებენი გახევდება. ები გრძნობს, რომ ებენს რაღაც ეწევა მისკენ. ზაფხულის ცხელ ჰაერში თითქოს გაზავებულა და თრთის მათი ვნება).

**ე ბ ი.** (წყნარად) **შენ რაღაც სხვა გინდა მითხრა, ებენ. ერთს ფიქრობ და მეორეს ამბობ. ჩვენი გაცნობის დღიდან შენს თავს ეჭიდები, გინდა დაიჯერო, რომ არ მოგწონვარ...** (ჩაიცინებს და გაჩუმდება. პაუზა. ჩურჩულით ამბობს) **უბრძანე მზეს, ნუ ხარ ასე ცხელი და მწველიო! ვერ გრძნობ მის ძალას? მთელი დედამიწა გახურდა, გავარვარდა... ყველაფერი იზრდება, მზეს ესწრაფვის...— ეს ბუნების კანონია! შენც იწვი. ებენ, იზრდები, სხვისკენ მიილტვი, ვიდრე არ შეუერთდები იმ სხვას. ეს თავისთავად ხდება და ამას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. შენ იზრდები, როგორც ხე..., როგორც... ეს თელა...** (ისევ ჩაიცინებს, თან თვალს არ აცილებს. ებენი უნებურად მისკენ წადგამს ნაბიჯს) **ბუნება შენზე ძლიერია, ებენ! და... დაგიმორჩილებს...**

**ე ბ ე ნ ი.** (ცდილობს დაუსხლტეს მის თილისმას, ჯადოს და დაბნეულად ამბობს) **ერთი მამამ გაიგონოს, რეებს მეუბნები...** (გაბრაზებული) **სულ გაასულელე ისედაც გამოჩერჩეტებული მოხუცი.**

(ებენი იცინის).

**ე ბ ი. არ გიხარია, უფრო ლმობიერი გახდა?**

**ე ბ ე ნ ი. არა. ის მტერია ჩემი. შენც..** (უცებ გადაავიწყდება ების მომხიბვლელობა) **მე დედაჩემის უფლებებს ვიცავ ამ სახლში, შენ კი..., შენ მე სულელი გგონივარ, გინდა თავბრუ დამახვიო, რომ ყველაფერს დეპატრონო. ვერ მოგართვეს!**

(ზურგს შეაქცევს).

**ე ბ ი. ებენ!**

**ე ბ ე ნ ი. თავი დამანებე!**

(მიდის).

**ე ბ ი.** (თითქმის ბრძანებით) **ებენ!**

**ე ბ ე ნ ი.** (შეჩერდება) **რა გნებავს?**

**ე ბ ი. სად მიდიხარ?**

**ე ბ ე ნ ი. სასეირნოდ!**

**ე ბ ი. სოფელში?**

**ე ბ ე ნ ი. სოფელში.**

**ე ბ ი. მინისთან?**

**ე ბ ე ნ ი. მინისთან.**

**ე ბ ი.** (ჩურჩულით) **რა გინდა იმ ქალთან?**

**ე ბ ე ნ ი.** (გამარჯვებული ღიმილით) **ბუნებას წინ ვერ გადაუდგები, თვითონ არ ამბობდი?**

(იცინის და მიდის).

**ე ბ ი.** (ყვირილით) **ბებრუხანა! მახინჯი!**

**ე ბ ე ნ ი.** (იცინის) **შენზე ლამაზი მაინც არის!**

**ე ბ ი. მთელი სოფლის ლოთები მაგასთან...**

**ე ბ ე ნ ი.** (აბრაზებს) **მერე რა, მაინც შენზე ლამაზია. იცის თავისი საქმე.**

**ე ბ ი.** (გაბრაზებული) **მე ნუ მადარებ!**

**ე ბ ე ნ ი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ფერმას არ მართმევს.**

**ე ბ ი.** (სუსტ ადგილს მიაგნებს და უნდა გული ატკინოს) **ჩემიო? ჩ ე მ ს ფერმაზე ამბობ ჩემიო?**

**ე ბ ე ნ ი. მე იმ ფერმაზე ვამბობ, რომლის გულისთვისაც უსირცხვილოდ გაყიდე თავი. ჩემია ფერმა!**

**ე ბ ი.** (მოთმინებიდან გამოდის) **ვნახოთ! შენი აქ არასოდეს არაფერი იქნება.** (ყვირის) **გასწი, წადი იმ კახპასთან! შე უმადურო! მე თუ მოვინდომე, მამაშენი დღესვე გაგაგდებს აქედან. მადლობა მითხარი, რომ აქამდე არ გაუგდიხარ. ვერ გიტან, მძულხარ!**

**ე ბ ე ნ ი.** (ესეც გაბრაზებული ყვირის) **მეც მძულხარ!**

(ებენი გადის. ები გაბრაზებული უყურებს. შემოდის მოხუცი ქებოტი. იგი ძალიან გამოცვლილია. მისი კუშტი სახე მართლაც მოლბა, თვალები უცნაური ოცნებით დანისლულია, გაახალგაზრდავებულია და მხნედ გამოიყურება. ები დაინახავს და ზიზღით გატრიალდება. ქებოტი მიუახლოვდება).

**ქ ე ბ ო ტ ი. რაო, შენ და ებენმა ისევ იჩხუბეთ?**

**ე ბ ი. არა.**

**ქ ე ბ ო ტ ი. ისე ყვიროდი!**

(კართანაზე ჩამოჯდება).

**ე ბ ი.** (შეეშინდება) **თუ გაიგონე, რაღას მეკითხები.**

**ქ ე ბ ო ტ ი. რას ამბობდი. ის არ მესმოდა.**

**ე ბ ი.** (შვებით ამოისუნთქავს) **ისეთს არაფერს არ ვამბობდი...**

**ქ ე ბ ო ტ ი.** (პაუზის შემდეგ) **ებენი დიდი უცნაური ვინმეა.**

**ე ბ ი. შენა გგავს.**

**ქ ე ბ ო ტ ი. ასე გგონია?** (პაუზა) **ჩვენ სულ ვჩხუბობთ. ნერვებს მიშლის, დედამისივით ანჩხლია.**

**ე ბ ი. არა, შენსავით უნებისყოფოა!**

**ქ ე ბ ო ტ ი.** (ების არ უსმენს, თავისთვის ამბობს) **შეიძლება მეც მეტისმეტად მკაცრად ვეპყრობოდი.**

**ე ბ ი. სამაგიეროდ ახლა ექცევი მეტისმეტად ლმობიერად. სულ მოეშვი, ლაჟე გახდი, ებენიც სწორედ ამას მეუბნებოდა.**

**ქ ე ბ ო ტ ი. რაო; მაგას ურჩევნია არ გამაბრაზოს, თორემ...** (პაუზა. ქებოტი მალე დაწყნარდება. ცას უყურებს) **რა ლამაზია არა?**

**ე ბ ი. რა?**

**ქ ე ბ ო ტ ი. ცა. გადახნულ, აოშვილ მინდორს ჰგავს!**

**ე ბ ი.** (დაცინვით) **იქაც ხომ არ შეიძენდი ერთ ფერმას?**

**ქ ე ბ ო ტ ი. უარს არ ვიტყოდი.** (პაუზა) **ვბერდები, ები. ვბერდები!** (პაუზა. ები ყურადღებით უსმენს) **სახლში რატომღაც მცივა, გარეთ რომ პაპანაქება სიცხეა, იქ მაშინაც ცივა, შენ არ გიგრძვნია?**

**ე ბ ი. არა.**

**ქ ე ბ ო ტ ი. ბოსელში თბილა. ძროხებთან სასიამოვნო სუნიც ტრიალებს და თბილა კიდეც.** (პაუზა) **ძროხა დიდი უცნაური რამეა!**

**ე ბ ი. შენსავით?**

**ქ ე ბ ო ტ ი. ებენივით.** (პაუზა) **რაღაცა უფრო შევეწყვე ებენს. დედამისიც ასეთი იყო, მასთანაც მიჭირდა. სულელია, თორემ მე და ებენი უკეთ გავუგებდით ერთმანეთს.** (პაუზა) **მგონი მართლა მომძალა სიბერე.**

**ე ბ ი. რა, სიკვდილს ხომ არ აპირებ?**

**ქ ე ბ ო ტ ი. არა. სიკვდილს ჩემთან რა უნდა, ისეთი კერკეტი ვარ!** (მხიარულად) **მაგრამ სამოცდაათს რომ გადავაბიჯებ, უნდა გაენზადო, ასეთია ღმერთის ნება** (პაუზა) **ალბათ ამიტომ თუ შევიყვარე ებენი. მას აქეთ, რაც მისი დამთხვეული ძმები ჯოჯოხეთის გზას დაადგნენ. ებენის მეტი ვიღა დამრჩა?**

**ე ბ ი. მე? მე არაფერი ვარ? რას აგიჩემებია ეს ებენი. მე სულ აღარ გახსოვარ. შენი კანონიერი ცოლი ვარ თუ არა?**

**ქ ე ბ ო ტ ი. ხარ, რა თქმა უნდა!** (პაუზა. უყურებს, ვნებამორეული უცებ მის ხელს დასწვდება და ჩქარ-ჩქარა, ლოცვასავით წარმოსთქვამს) **ჩემო სარონის ვარდო, თვალნი შენნი, ვითარცა ტრედისანი... ბაგენი შენი, შროშან მომწოთლვარე... ორნი ძუძუნი შენი, ვითარცა ორნი თიკანნი ქურციკისანი... მუცელი შენი, ჭურჭელი სპილოს ძვლისა... საშოი შენი, ვითარცა ხვავი იფქლისა..** (სულ დაუკოცნის ხელებს. ები წყნარად ზის).

**ე ბ ი.** (უცებ ხელს გამოგლეჯს) **ამ ფერმას კი ებენს უტოვებ, ხომ?**

**ქ ე ბ ო ტ ი. ვუტოვებ? არავისაც არ ვუტოვებ!**

**ე ბ ი. აბა, თან ხომ ვერ წაიღებ?**

**ქ ე ბ ო ტ ი.** (დაფიქრდება) **არა, თან ვერ წავიღებ. რომ შემეძლოს, წავიღებდი, ვფიცავარ გამჩენს! ანდა, რომ შეიძლებოდეს, უკანასკნელ წუთს ცეცხლს მივცემდი ყველაფერს — სახლს, ყანებს,**

ხეხილს, სულ გადავწვავდი და გადავბუგავდი. მერე არხეინად მოვკვდებოდი თუ მეცოდინებოდა, რომ ჩემთან ერთად გაქრა და აღარავინ დაეპატრონება იმას, რაც ჩემი იყო, რაც სისხლითა და ოფლით მიშენებია. (პაუზა) ძროხებს ხელს არ ვახლებდი. იმათ გავუშვებდი.

ე ბ ი. (ცივად) მე?

ქ ე ბ ო ტ ი. შენ? (გაუღიმებს) შენც გაგიშვებდი.

ე ბ ი. (გაბრაზდება) ყოჩაღ! ცოლის სიყვარულიც ასეთი უნდა. კაცმა არ იცის რისთვის შეიყვარე ებენი, რომელიც ვერ გიტანს, მე კი გადამაგდე, კი ბატონო.

ქ ე ბ ო ტ ი. ები, შენ მშვენივრად იცი, რომ...

ე ბ ი. დაიცა, რაღაც მინდა გითხრა იმ შენს ებენზე. იცი, სად წაბრძანდა? მინისთან. იმ კახპასთან. არ ვუშვებდი, მაგრამ არ გამიგონა. შენც თავი მოგჭრა და მეც...

ქ ე ბ ო ტ ი. ვნებებს ვერ თოკავს, რა ქნას!

ე ბ ი. (გაბოროტებით) ვერ თოკავს, დიახ. მეც მიჩვენა თავისი ვნებები. ახლა, ახლაც გაამართლებ?

ქ ე ბ ო ტ ი. (პაუზის შემდეგ) შენც გიჩვენა....?

ე ბ ი. ჰო. ძლივს დავუსხლტი ხელიდან. ამიტომ იყო. წეღან რომ ვჩხუბობდით.

ქ ე ბ ო ტ ი. (ჯერ ების უყურებს, მერე სახე ეცვლება, ფეხზე წამოხტება და ბრაზისაგან ერთიანად ცახცახებს) მოვკლავ, ჩემი ხელით მოვკლავ, დავახრჩობ!

ე ბ ი. (შეეშინდება) არა, არა!

ქ ე ბ ო ტ ი. (ყვირის) ამ თელებზე მივასხმევინებ ტვინს!

ე ბ ი (მკლავებს შემოხვევს) არა, ეფრაიმ!

ქ ე ბ ო ტ ი. (ხელის კვრით მოიცილებს) როგორ თუ არა!

ე ბ ი. (წყნარად) მომისმინე, ეფრაიმ, არაფერი ცუდი არ მომხდარა. ბიჭი გამეხუმრა. მართლა ხომ არ უფიქრია, ხუმრობდა, მეტი არაფერი...

ქ ე ბ ო ტ ი. როგორ, შენ არ მითხარი, ძლივს დავუსხლტი ხელიდანო?

ე ბ ი. გამაბრაზე და იმიტომ გითხარი, მეგონა ფერმას მას უტოვებდი.

ქ ე ბ ო ტ ი. (ცოტა დაწყნარდება) კარგი, ერთს კარგად მივბეგვავ და აქედან გავაგდებ, შენ თუ გინდა...

ე ბ ი. (ქებოტთან მივა და მის ხელს ხელში აიღებს) არა. მე ვერაფერს გამიბედავს. გაგდება კი არ შეიძლება. სისულელეა. ვიღა მოგეხმარება? მარტო რას გაუძლევები!

ქ ე ბ ო ტ ი. (დაფიქრდება) ჭკვიანი ქალი ხარ. დარჩეს. (კართანაზე ჩამოჯდება, ები გვერდით მიუჯდება. ქებოტი თავისთვის ბურტყუნებს) სულელი, ჩერჩეტი, მეც რამ გამაგიჟა! (პაუზა) არა. მართლა ვინ უნდა უპატრონოს აქაურობას, მე რომ არ ვიქნები? ორი შვილი ეშმაკებში და ჯანდაბაში წავიდა. ებენიც ალბათ მალე გაუტევს იქით.

ე ბ ი. მე.

ქ ე ბ ო ტ ი. შენ ქალი ხარ.

ე ბ ი. მე შენი ცოლი ვარ!

ქ ე ბ ო ტ ი. მართალია, მაგრამ შვილი მაინც სხვაა. ჩემს სისხლსა და ხორცს თუ დავუტოვე ყველაფერი, მეც მშვიდად ვიქნები, ვითომც მე მეცოცხლოს... გამიგე?

ე ბ ი. (გაბრაზებული) დიახ, გავიგე!

ქ ე ბ ო ტ ი. ეჰ, დავბერდი, მაგრამ არაუშავს. კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ბევრ ახალგაზრდას მაინც ვჯობივარ!

ე ბ ი. (უცებ) რა იქნება, რომ ღმერთმა ინებოს და ბიჭი მოგვცეს!

ქ ე ბ ო ტ ი. (მისკენ მოტრიალდება) მე და... შენ?

ე ბ ი. (იღიმება) ჰო, რა მოხდა. შენ ჯან-ღონით სავსე კაცი ხარ..., შეუძლებელი რა არის? რატომ გაგიკვირდა? ამაზე არასოდეს გიფიქრია? მე კი სულ ვფიქრობ... და ვლოცულობ კიდეც...

ქ ე ბ ო ტ ი. (გახარებულია) ები... ლოცულობ, რომ... მე და შენ.. შვილი გვეყოლოს..

ე ბ ი. (გადაწყვეტით) მე ბიჭი მინდა!

ქ ე ბ ო ტ ი. (ღელავს) ეს მართლაც ღვთის წყალობა იქნება, ები, ღვთის წყალობა! ჩემს ასაკში, ჩემს მარტოობაში... შენი გულისათვის შეუძლებელს გავაკეთებ ები, მთხოვე, რაც გინდა!

ე ბ ი. ამ ფერმას მიანდერძებ?

ქ ე ბ ო ტ ი. ყველაფერს. ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა, ვფიცავ! სულწაწყმედილი ვიყო, თუ ფიცი გავტეხო. (მუხლებზე დაიჩოქებს, ებისაც დააჩოქებს, სიხარულისაგან სულ თრთის და კანკალებს) ილოცე ები, დღეს კვირაა! მეც მოგეხმარები, ერთად ვილოცოთ! ესმა უფალს რაქილის და ... შვა... ღმერთი აუცილებლად შეისმენს ჩვენს ვედრებას..., ილოცე ები, ილოცე!

(თავს ჩაღუნავს და ლოცვას ბუტბუტებს. ებიც ვითომ იგივეს აკეთებს. შემდეგ გვერდულად გადახედავს გამარჯვებული, მოზეიმე სახით)

## ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

დაახლოებით საღამოს რვა საათია. მეორე სართულის საწოლი ოთახები. მარჯვენა ოთახში, თავისი საწოლის კუთხეზე ზის ებენი. ებენი ფეხშიშველაა. აცვია მხოლოდ მაისური და ტრუსები. ნიკაპით ხელებს დაყრდნობია და სასოწარკვეთილი, ჩაფიქრებული სახე აქვს.

მეორე ოთახში ები და ქებოტი სხედან თავიანთ უშველებელ საწოლზე. ები ღამისპერანგისამარაა, ქებოტს საცვლები აცვია. ქებოტი ისევ თავის განცდებშია. ორივე ოთახი სანთლის ციმციმა შუქით სუსტადაა განათებული.

ქ ე ბ ო ტ ი. ბიჭი, ბიჭი სჭირდება ამ ფერმას!

ე ბ ი. ბიჭი მე მჭირდება...

ქ ე ბ ო ტ ი. ჰო, იცი, ზოგჯერ შენ და ფერმა ერთიდაიგივე ხდებით, რაღაცნაირად ერთიანდებით. ამიტომაც მეგულები ჩემი მარტოობის ნუგეშად. (პაუზა. მუშტს მსუბუქი დარტყმით იცემს მუხლზე) მე და ჩემს ფერმას მალე ბიჭი გვეყოლება...

ე ბ ი. დაიძინე, რეებს ლაპარაკობ!

ქ ე ბ ო ტ ი. (ხელს გაიქნევს) არა. მე ვიცი, რასაც ვამბობ. შენ მე არ მიცნობ!

(სევდიანად დააჩერდება იატაკს)

ე ბ ი. შეიძლება.

(ებენი წამოდგება და ოთახში ბოლთას სცემს. ები გრძნობს მის მოძრაობას და კედელს უყურებს. ებენი შეჩერდება. ისიც კედელს შეხედავს. თითქოს ერთმანეთს ხედავენ. უცებ ებენი ხელს გაიშვერს. ები უნებურად წამოიწევა.

ებენი გამოფხიზლდება, რაღაცას ჩაიბურტყუნებს. გატრიალდება, საწოლზე დაეგდება და ბალიშში ჩარგავს თავს.

ები მოეშვება, ამოიოხრებს, თუმცა ისევ კედელს უყურებს და უსმენს, რომ გაფაჩუნებაც არ გამოეპაროს ებენის ოთახში.

(ქებოტი თავს ასწევს. ების შეხედავს. სევდიანად უყურებს).

ქ ე ბ ო ტ ი. ები, შენ გესმის ჩემი? ან ოდესმე გამიგებს ვინმე? (თავს გაიქნევს) არა. ეს არ მოხდება. (ები ისევ კედელს უყურებს. ქებოტი მიტრიალდება. ცოტა ხანს ჩუმად არის, მერე ეტყობა ვეღარ აიტანს ფიქრებთან მარტო ყოფნას, ხელს გადმოსწევს. ისე, რომ თვითონ არ მოტრიალდება და ების მუხლს ჩაბღუჯავს. ები შეკრთება, სწრაფად შეხედავს, მაგრამ დაინახავს, რომ ქებოტი არ უყურებს, დაწყნარდება და ისევ კედელს მიაშტერდება. ქებოტი ლაპარაკობს, ები არ უსმენს) ები, ორმოცდაათი წლის წინათ, აქ რომ მოვედი, ოცი წლის ვიყავი. რა ბიჭი ვიყავი! ჩემისთანა ვაჟკაცი მეორე არ დადიოდა! ას ებენს ვაჯობებდი ღონით. აქ კი ამ ადგილას ქვის მეტი არაფერი იყო. ხალხი იცინოდა, იფ, რა ადგილი აირჩიაო,... რა იცოდნენ ჩემი ამბავი. ქვაზე რომ ჯეჯილს ააბიბინებ, კაცი მაშინა ხარ! კაცი კი არა, ღმერთი ხარ! დედლები! არც ღმერთი იცოდნენ და არც არაფერი. ამიტომაც იცინოდნენ. ახლა აღარ იცინიან, ცოცხლებიც აღარ არიან. ზოგი აქ დაიხოცა, ზოგი კი დასავლეთში წავიდა და იქ დალია სული. სუსტებს უჭირთ ცხოვრება. ღმერთი ძლიერია და ძლიერები უყვარს. მეც ძლიერი ვიყავი, ისინი კი ამბობდნენ, სასტიკიაო, თითქოს სისასტიკე ცოდვა იყოს მიუტევებელი... რახან ასეა, ვთქვი მე, ვფიცავარ ელვას, ჭექას და ქუხილს, მართლაც

სასტიკი ვიქნები და მაშინ მიყურეთ (უცებ) ერთხელ..., ერთხელ სისუსტე გამოვიჩინე. ეს იყო ორი წლის შემდეგ, აქ რომ მოვედი. ამდენმა ქვამ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, შევშინდი. აქედან ბევრი აიყარა, დასავლეთში წავიდნენ. მეც მათ გავყევი. ბევრი. ძალიან ბევრი ვიარეთ და ბოლოს მივადექით ერთ ადგილს, სადაც მიწა ნახშირივით შავი იყო და რბილი. კენჭიც არსად ეგდო. ხვნა და თესვის მეტი არაფერი გინდოდა. მერე გადაიდე ფეხი ფეხზე, აბოლე ჩიბუხი და არხეინად ელოდე მოსავალს. ახლა მდიდარი კაცი ვიქნებოდი. მაგრამ რაღაც იდუმალი ხმა გამუდმებით ჩამძახოდა: „ეს შენი საქმე არ არის, შინ დაბრუნდი!“ ღმერთის ხმა იყო. შემეშინდა და დავემორჩილე. დავყარე ყველაფერი და წამოვედი. მოსავალიც მივატოვე და სახნავ-სათესიც. ჩემი ღმერთი აქ არის, ამ ქვებში. აგე კლდეზე ქვის ტაძარი ჩემს სავანედო, ასე უთქვამს ღმერთს წმინდა პეტრესთვის. (ამოიოხრებს. პაუზა) ქვები... ქვას ქვაზე ვადებდი და კედლებს ვაშენებდი. მთელი ჩემი ცხოვრება ამ ქვის კედლებზეა დაწერილი. თითოეული ქვა და ლოდი ზურგით მიზიდია და ამ ფერდობებზე მინდვრები ისე მილობია! მინდვრები, რომელიც ჩემმა მარჯვენამ აიძულა, მოსავალი მოეცა! ღმერთს ასე სურდა და მეც მის ნებას ვასრულებდი როგორც მონა, როგორც მსახური... ძნელი იყო, მაგრამ ღმერთი შემეწია. (პაუზა) კარგა ხანს მარტო ვიყავი. მერე ცოლი შევირთე. სიმეონი და პიტერი მეყოლა. კარგი ქალი იყო, მშრომელი, ოცი წელი ვიცხოვრეთ ერთად, და ბოლომდე უცხო დარჩა ჩემთვის. მუდამ გვერდში მედგა, მაგრამ ის არ ესმოდა, რაში მშველოდა, რატომ მშველოდა. მარტო ვიყავი! მერე ის მოკვდა, და რატომღაც ნაკლებად განვიცდიდი ჩემს სიმარტოვეს. (პაუზა) გავიდა წლები. არ ვიცი რამდენი, მე მათ არ ვითვლიდი. სიმი და პიტი მხარში ამომიდგნენ. ფერმა გაიზარდა, გაიფურჩქნა; ჩემი ფერმა! მასზე რომ ვფიქრობდი, სიმარტოვის აღარ მეშინოდა. (პაუზა) მაგრამ სულ ერთ რამეზე ხომ არ იფიქრებ, რამდენი შეიძლება! მეორედ ვიქორწინე — ებენის დედაზე. მისი ნათესავები გამუდმებით მედავებოდნენ ჩემს ფერმას. ებენიც იმიტომ გაიძახის წამდაუწუმ, ფერმა ჩემიაო. ლამაზი ქალი იყო, მაგრამ სუსტი. უნდოდა ძლიერი ყოფილიყო და ვერ შესძლო.... მასთან კიდევ უფრო საშინელ სიმარტოვეს განვიცდიდი. თექვსმეტი წლის შემდეგ გარდაიცვალა. (პაუზა) შევრჩით ერთმანეთს მე და ბიჭები. იმათ მე ვძულდი, რადგან ძლიერი ვიყავი. მე კი ისინი მძულდნენ, რადგან სუსტები ყვნენ. ისინიც სულ ფერმას მედავებოდნენ, კაცმა არ იცის რატომ. მაგათ დამაბერეს! ჩემს ფერმას ებღაუჭებოდნენ და ხელიდან მგლეჯდნენ. ამ გაზაფხულზე ისევ ჩამესმა ის იდუმალი ხმა... „ეძიებდე და ჰპოვებდეო“, ჩამოსძახა ჩემს მარტოობას. (ების მიუბრუნდება და გზნებით ეუბნება) მეც ვეძიე და შენ გპოვე, ჩემო სარონის ვარდო, თვალნი შენნი, ვითარცა ტრედისანი.. (ები შემოხედავს ცივი, გაყინული სახით. ქებოტს სიტყვა გაუწყდება. შემდეგ მკაცრად ეკითხება) გაიგე რამე?

ე ბ ი. (უხერხულად) მე მგონი!

ქ ე ბ ო ტ ი. (გაბრაზებული აჭკრავს ხელს) ვერაფერიც ვერ გაიგე და ვერც ვერასოდეს გაიგებ! და თუ შენ ბიჭი მაინც არ გამიჩინე...

ე ბ ი. (შეშინებული) აკი ვილოცე!

ქ ე ბ ო ტ ი. კიდევ ილოცე!

ე ბ ი. (მტკიცედ) მე მეყოლება ბიჭი, პირობას გაძლევ!

ქ ე ბ ო ტ ი. როგორ მაძლევ მაგის პირობას?

ე ბ ი. გულთმისანი ვარ იქნებ!

ქ ე ბ ო ტ ი. მგონი მართლაც ხარ: ზოგჯერ უცნაურად მცივა შენს გვერდით. (შეაურყოლებს) ცივა ამ სახლში. სიმყუდროვე არ არის.... ასე მგონია ყველა კუთხეში, სიბნელეში რაღაც ფაჩუნობს... (იცვამს შარვალს, შიგ პერანგს ჩაიკეცავს და წაღებში ჩაყოფს ფეხს).

ე ბ ი. (გაოცებით) სად მიდიხარ?

ქ ე ბ ო ტ ი. იქ, სადაც თბილა და სიმყუდროვეა, ბოსელში, ძროხებთან. მიყვარს მათთან ლაპარაკი. ყველაფერს მაშინვე მიგიხვდებიან. ისინი ჩემს ფერმასაც კარგად იცნობენ და მეც. რომ იცოდე, როგორ მამშვიდებენ!

(კარისკენ მიდის).

ე ბ ი (შეშფოთდება) რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ, ეფრაიმ?

ქ ე ბ ო ტ ი. ტოტები ხმება!

(გადის).

(ისმის ნაბიჯების ხმა კიბეზე. ებენი წამოჯდება. ყურს მიუგდებს. ები გრძნობს მის მოძრაობას და კედელს უყურებს. ქებოტი ეზოში გამოდის, ჭიშკართან მიდის, ცას უცქერის და ხელებს [illegible] იშვერს)

ქ ე ბ ო ტ ი. ღმერთო ძლიერო! ხმა გამეცი მაგ წყვდიადიდან!

(იცდის, თითქოს პასუხს ელოდება. შემდეგ მკლავები ჩამოუცვივდება და ფეხათრევით წავა ბოსლისაკენ).

(ებენი და ები კედელს უყურებენ. ებენი ამოიოხრებს. ებიც ამოიოხრებს. ორივე ძალიან აღელვებულია. ბოლოს ები ადგება, კედელს ყურს მიადებს და გაირინდება. ებენი თვალს ისე ადევნებს, თითქოს ხედავს, რასაც ები აკეთებს. ადგილზე გაქვავდება. ები კედელს მოშორდება და კარისკენ წავა. ებენი ისევ გააყოლებს თვალს. იღება ებენის ოთახის კარი და შემოდის ები. ებენი მისკენ მიტრიალდება. ები წუთით კართან შედგება და ებენს უცქერის. შემდეგ წყნარად შეჰკივლებს და ებენისაკენ გაექანება. მოეხვევა, თავს გადაუწევს და ჰკოცნის. ებენიც პასუხობს, მაგრამ უცებ გამოერკვევა. ების მოიცილებს და ფეხზე წამოხტება. დგანან, ერთმანეთს უცქერენ და თან მდევარდადევნებული ნადირივით მძიმედ სუნთქავენ.

ე ბ ი. (გულნატკენი) ნუ, ებენ, ნუ გამაგდებ! შენ ბედნიერი იქნები ჩემთან!

ე ბ ე ნ ი. (ცივად) მე არ მჭირდება ეგ ბედნიერება!

ე ბ ე ნ ი. გჭირდება ებენ, ძალიან გჭირდება... სტყუი!...

ე ბ ე ნ ი. თავი დამანებე. ხომ გითხარი, ვერ გიტან-მეთქი!..

ე ბ ი. (ძალით იცინის) მე რომ გაკოცე...., თუ გეჯავრები, რად მაკოცე. რატომ გქონდა ტუჩები ცხელი?

ე ბ ე ნ ი. (ტუჩებს მოიწმინდავს) ჰო. გაკოცე. უცებ წარმოვიდგინე, რომ სხვა იყავი.

ე ბ ი. მინი?

ე ბ ე ნ ი. თუნდაც.

ე ბ ი. მაშ შენ მაინც წახვედი მასთან... მე კი მეგონა, არ წახვიდოდი! ამიტომაც აღარ გინდივარ...

ე ბ ე ნ ი. შეიძლება. მერე რა?

ე ბ ი. ის, რომ ცხოველი ყოფილხარ, ებენ ქებოტ! რა, მართლა დაიჯერე, რომ მიყვარხარ? არა. შენ მეტისმეტად სუსტი ხარ სამაგისოდ. ტყუილად არ იფიქრო! შენ მე მჭირდები. და ეს ასეც იქნება, რადგან მე შენზე ძლიერი ვარ!

ე ბ ე ნ ი. ასეც ვიცოდი, რომ ეს შენი გეგმის ნაწილი იყო, იმ გეგმის, რომლის მიხედვითაც გინდა ყველაფერი ჩაიგდო ხელში.

ე ბ ი. (აჯავრებს) თუნდაც. მერე რა?

ე ბ ე ნ ი. გადი აქედან! ეს ჩემი ოთახია!

ე ბ ი. არა. ეს ოთახიც ჩემია. შენ მე მემსახურები!

ე ბ ე ნ ი. გადი, თორემ მოგკლავ!

ე ბ ი. არ მეშინია. შენ მე გიყვარვარ და მამაშენის შვილი ვერ მოკლავს ქალს, რომელიც უყვარს. თვალები მეუბნება, რომ გიყვარვარ. ტუჩები გითრთის... ო, როგორ გინდა, რომ მაკოცო, მიკვირო! (ებიმ კვლავ დაიმონა ებენი) ჰო, ეს ასე იქნება... ამ სახლში ყველაფერი ჩემია, ერთი ოთახის გარდა. და ის ოთახიც ჩემი უნდა გახდეს ამაღამ! მე ჩავალ. სანთელს ავანთებ (დაცინვით) კარებამდე მაინც მიმაცილეთ, მისტერ ქებოტ!

ე ბ ე ნ ი. არა, შენ იქ არ წახვალ.. იმ ოთახის კარი არ შეღებულა მას შემდეგ, რაც დედაჩემი აღარ არის. შენ...

(ები თვალანთებული უცქერის. ებენი თვალს უსწორებს).

ე ბ ი. (ბრძანებით) დიდხანს არ მალოდინო, ებენ!

(გადის).

ე ბ ე ნ ი. (კარისკენ გადადგამს ნაბიჯს. წაიჩურჩულებს) იქ?

(ქვემოთ ფანჯარა განათდება. ებენი მექანიკურად ჩაიცვამს პერანგს, იკეთებს საყელოს, იცვამს პიჯაკს, აიღებს ქუდს და დგას ფეხშიშველი).

ე ბ ე ნ ი. (ჩურჩულით) დედა, დედა. სადა ხარ?!

(ნელა მიდის კარისკენ და გადის.)

## ს ც ე ნ ა  მ ე ს ა მ ე

რამდენიმე წუთის შემდეგ. სასტუმრო ოთახი, საფლავივით ცივი და პირქუში. ადამიანი ცოცხლად დასამარებულად იგრძნობ აქ თავს. ები დივანის ნაპირზე ჩამომჯდარა. სანთლები აუნთია. ოთახმა გუნება შეუცვალა. დაძაბული და შეშინებული მზად არის გაიქცეს აქედან.

იღება კარი და ოთახში შემოდის ებენი, ფეხშიშველა, ქუდით ხელში. დაბნეულად უცქერის ების.

ე ბ ი. (ოფიციალურად) დაბრძანდით!

ე ბ ე ნ ი. უჰუ!

(ქუდს ფრთხილად დადებს კართან ახლოს და ების გვერდით, დივანზე ჩამოჯდება. პაუზა. ორივე ნერვიულობს).

ე ბ ი. რომ შემოვედი, საშინლად ბნელოდა და მომეჩვენა, რომ აქ ვიღაც იყო.

ე ბ ე ნ ი. დედა იქნებოდა.

ე ბ ი. ახლაც მეჩვენება, რომ...

ე ბ ე ნ ი. დედაა.

ე ბ ი. შემეშინდა, მინდოდა მეყვირა, გავქცეულიყავი, მაგრამ ამ დროს შენ შემოხვედი და ახლა უკვე აღარ მეშინია.

ე ბ ე ნ ი. დედას ძალიან ვუყვარდი.

ე ბ ი. ალბათ იცის, რომ მეც მიყვარხარ და არ მიბრაზდება.

ე ბ ე ნ ი. არ ვიცი, ასე მგონია შენ მას ეჯავრები.

ე ბ ი. (ჯიუტად) არა. აღარ ვეჯავრები. ვგრძნობ.

ე ბ ე ნ ი. ეჯავრები, რადგან წაართვი მისი ადგილი, მისი სახლი, მისი ოთახი. ის ხომ აქედან გაასვენეს...

(უცებ გაჩუმდება და გაშტერებული იყურება).

ე ბ ი. რა მოხდა ებენ?

ე ბ ე ნ ი. დედას არ უნდა, რომ ამაზე ვილაპარაკო.

ე ბ ი. აი ხომ ხედავ, დედა რა კეთილია! ან რატომ უნდა ვეჯავრებოდე, ჩვენ ხომ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით!

ე ბ ე ნ ი. დედას მამაჩემი ეჯავრება.

ე ბ ი. ის ჩვენ ყველას გვეჯავრება.

ე ბ ე ნ ი. ჰო. მე მაინც ძალიან მეჯავრება, ღმერთმანი!

ე ბ ი. (ებენის ხელს აიღებს და ეფერება) კარგი, მამაზე აღარ ვილაპარკოთ. დედაზე იფიქრე, დედაზე მომიყევი, ებენ!

ე ბ ე ნ ი. დედა სულ სხვანაირი იყო. სათნო, კეთილი. იმას კი არ ჰგავდა!

ე ბ ი (მოეხვევა) მეც კარგი და კეთილი ვიქნები, ებენ!

ე ბ ე ნ ი. ზოგჯერ მიმღეროდა ხოლმე.

ე ბ ი. მეც გიმღერებ!

ე ბ ე ნ ი. ეს მისი სახლია. მისი ფერმაა.

ე ბ ი. ჩემი სახლია. ჩემი ფერმაა.

ე ბ ე ნ ი. მამამ შეირთო და ყველაფერი წაართვა. ვერ გაუგო დედას...

ე ბ ი. არც ჩემი ესმის...

ე ბ ე ნ ი. მისმა გულქვაობამ მოკლა.

ე ბ ი. მეც ასე მკლავს.

ე ბ ე ნ ი. მოკვდა! (პაუზა) ზოგჯერ მიმღეროდა ხოლმე.

(ტირის)

ე ბ ი. (მოეხვევა) მეც გიმღერებ, მეც შენთვის მოვკვდები! (მიუხედავად იმისა, რომ ების აშკარად ვნება დაეუფლა, მაინც იგრძნობა დედობრივი მზრუნველობა მის ხმასა და ქცევაში. ერთმანეთში არეულა ჟინი და დედობრივი სიყვარული) ნუ სტირი ებენ, ვეცდები დედის მაგივრობა გაგიწიო. მოდი, გაკოცო! (თავს მოუბრუნებს. ებენი არ ანებებს. ები ნაზად ეფერება) ეს წმინდა კოცნაა, დედობრივი კოცნაა ებენ. მოდი, შენც მაკოცე. ღამე მშვიდობისა უსურვე დედას. მაკოცე ებენ! (ჰკოცნიან წყნარად, შემდეგ ები შმაგად დაუწყებს კოცნას. ებენი ფეხზე ხტება. ები ხელებს მისკენ გაიშვერს) ებენ! არ წახვიდე, ებენ! ვერა ხედავ, რომ მარტო დედობრივი სიყვარული არ მყოფნის შენი! ჩვენი სიყვარული მეტია, გაცილებით მეტი... ასჯერ, ათასჯერ და ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, ებენ... მე და შენ...

ე ბ ე ნ ი. დედა! დედა! მითხარი რამე!

ე ბ ი. ები გიყვარდესო, გეუბნება! იცის რომ მიყვარხარ! იცის, რომ გჭირდები! შენ კი ვერა გრძნობ? შენ არ იცი?

ე ბ ე ნ ი. ჰო, მაგას მეუბნება, მაგრამ რატომ, ვერ გამიგია, შენ ხომ მას ყველაფერი წაართვი...

ე ბ ი. მიყვარხარ!

ე ბ ე ნ ი. (რაღაც აზრი გაუელვებს და იღიმება) მიხვდი რატომაც... ეს იქნება შურისძიება მამაჩემზე... — ახლა კი მშვიდად მოისვენებს საფლავში.

ე ბ ი. არა, ეს ღმერთის შურისძიებაა ჩვენზე. თუმცა სულერთია... მიყვარხარ. ებენ! ღმერთია მოწამე, როგორ მიყვარხარ!

ე ბ ე ნ ი. (ხელში აიტაცებს. ახლა უკვე აღარ ცდილობს ვნება მოთოკოს) მეც მიყვარხარ, ები! იმ წუთიდან, როგორც კი დაგინახე, მიყვარხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ჰკოცნის).

## ს ც ე ნ ა მ ე ო თ ხ ე

(თენდება. სახლის კარი იღება და ებენი ეზოში გამოდის. ჭიშკრისკენ მიდის. სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილა. კმაყოფილი, ბედნიერი სახე აქვს. სასტუმრო ოთახის ფანჯარა იღება და ები იხედება. გაშლილი თმა მხრებზე ჩამოშლია, ლოყები ავარდისფერებია. ნაზად უყურებს ებენს. შემდეგ წყნარად დაუძახებს)

ე ბ ი. ებენ (ებენი მოტრიალდება) ერთი კოცნაც და წადი. მთელ დღეს ველარ გნახავ, მომენატრები...

ე ბ ე ნ ი. მეც. (მიდის, რამდენჯერმე აკოცებს და სიცილით ეუბნება) გეყოფა. დანარჩენი მერე.

ე ბ ი. მერეც გაკოცებ! მართლა გიყვარვარ, ებენ?

ე ბ ე ნ ი. შენსავით ჯერ არც ერთი გოგო არ მომწონებია.

ე ბ ი. მოწონება სიყვარული არ არის!

ე ბ ე ნ ი. კარგი. მიყვარხარ! კმაყოფილი ხარ?

ე ბ ი. (უღიმის) ვარ.

ე ბ ე ნ ი. წავედი. თორემ ჩვენი ქოფაკი დაგვადგება თავზე.

ე ბ ი. (იცინის) დაგვადგეს. მაგას მაინც ავუბამ თვალებს, როცა მინდა. ფანჯარა ღია იყოს. ამ ოთახს მზე და ჰაერი არ ღირსებია რამდენი ხანია! ეს ოთახი ხომ უკვე ჩემია?

ე ბ ე ნ ი. (იღუშება) რა თქვი?

ე ბ ი. (საჩქაროდ დაუმატებს) ჩვენია, ებენ!

ე ბ ე ნ ი. ეგრე იყოს.

ე ბ ი. ჩვენია. ის ხომ ჩვენმა სიყვარულმა გააცოცხლა ..

ე ბ ე ნ ი (დაღვრემილი) დედა საფლავში დაბრუნდა. ახლა მშვიდად იძინებს.

ე ბ ი. ჰოდა, ნუღარ შეაწუხებ! რატომ მეუბნები ამ დილით სევდიან რამეებს.

ე ბ ე ნ ი. ფიქრი თავისთავად მოდის.

ე ბ ი. არ გინდა. (ამთქნარებს) წავალ, ცოტას წავუძინებ! იმას კი ვეტყვი, შეუძლოდ ვარ-მეთქი. თვითონ მოიმზადოს საუზმე.

ე ბ ე ნ ი. აგე, მოდის. მოწესრიგდი და მაღლა ადი, ჯობია.

ე ბ ი. კარგი. (ხელით კოცნას გაუგზავნის. ებენი გაუღიმებს. მერე მხრებში გაიშლება და მამას ელოდება).

(ქებოტი მარცხნიდან შემოდის. თან მაღლა იყურება).

ე ბ ე ნ ი. (მხიარულად) დილა მშვიდობისა, მამა! რას უყურებ?

ქ ე ბ ო ტ ი. ლამაზია, არა?

ე ბ ე ნ ი. ასეთი ფერმა მეორე არ იქნება!

ქ ე ბ ო ტ ი. მე ცაზე გეუბნები.

ე ბ ე ნ ი. (იცინის) შენ რა იცი, ლამაზია თუ არა, იმსიშორეზე რას ხედავ?

(თავის ოხუნჯობაზე თვითონვე იცინის).

ქ ე ბ ო ტ ი. რაღაც მეტისმეტად გამხიარულდი. გადაკრულში ხარ?

ე ბ ე ნ ი. გამოიცანი. ცხოვრებამ დამათრო! (ხელს გაუწვდის) მოიტა ხელი, ბარი-ბარში ვართ.

ქ ე ბ ო ტ ი. რა დაგეტაკა?

ე ბ ე ნ ი. არ გინდა და ნუ გინდა. უფრო კარგი. (პაუზა) რა დამეტაკა? შეხედე, დაინახე? წავიდა. საფლავში დაბრუნდა.

ქ ე ბ ო ტ ი. ვინ?

ე ბ ე ნ ი. დედაჩემი. ახლა შეუძლია მშვიდად იძინოს. ჯავრი ამოყრილია!

ქ ე ბ ო ტ ი. რა კარგად მეძინა! ძროხებთან ვიყავი. თვითონაც მშვიდად ფშვინავენ და მეც მამშვიდებენ!

ე ბ ე ნ ი. (გამხიარულდება) ყოჩაღ, ძროხებო! რას დამდგარხარ, რატომ არ მუშაობ?

ქ ე ბ ო ტ ი. მე მიბრძანებ. შე ლაწირაკო?

ე ბ ე ნ ი. (იცინის) დიახაც გიბრძანებ, ჰა, ჰა, ჰა. როგორ მოგწონს? ჰა, ჰა, ჰა! ამ საქათმეში მთავარი მამალი მე ვარ! ჰა, ჰა, ჰა,

(გადის)

ქებოტი. (თვალს გააყოლებს) სულელი! ასე როგორ დაემსგავსა დედამისს. რა გინდა რომ ქნა! (გადააფურთხებს) ჩერჩეტი.... (პაუზა) უ..., ძალლივით მშია!

(სახლში შედის).

ფარდა

## მოქმედება მესამე

### სცენა პირველი

თითქმის წელიწადი გავიდა. გაზაფხულის სალამოა. ერთდროულად მოჩანს სამზარეულო და მაღლა ორივე საწოლი ოთახი. საწოლ ოთახებში სანთელი ანთია და სუსტადაა განათებული. სამზარეულო გაჩახჩახებულია. ებენი თავის საწოლზე ზის, ნიკაპით ხელებს დაყრდნობია და ჩაფიქრებულა. რაღაც დიდ განცდებშია. ეტყობა საშინლად აღიზიანებს სამზარეულოდან მოსული მხიარული სიცილი და ხმაური.

მეორე ოთახში ორმაგი საწოლის გვერდით ბავშვის საწოლი დგას.

სამზარეულოში დიდი მხიარულებაა. ლუმელი კედელთან მიუწევიათ, რომ მეტი ადგილი იყოს საცეკვაოდ. სკამებიც კედელთან მიუწყვიათ. ზედ ძალიან მჭიდროდ სხედან სტუმრები: მეზობელი ფერმერები. მათი ცოლები, ახალგაზრდები. რაღაცას უჩურჩულებენ ერთმანეთს და იცინიან, სჩანს ეს საერთო საიდუმლო მეტად ამხიარულებთ. ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავენ, თვალს უკრავენ. თავით, ხელებით, ქებოტზე ანიშნებენ და იცინიან. გახარებული, აღელვებული და გვარიანად შეზარხოშებული ქებოტი კართან დგას და ყველას, ვინც შემოდის, სასმელს სთავაზობს. მარცხენა კუთხეში ზის ები. მხრებზე შალი მოუხვევია, გაფითრებულია. გამხდარი და მისუსტებული. თვალი სულ კარისკენ უჭირავს, თითქოს ვიღაცას ელის.

ოთახის სიღრმეში, მარჯვნივ, ზის მევიოლინე და ვიოლინოს აწყობს. წყალწყალა თვალებს წამდაუწუმ აფახურებს და თან თავისთვის ხითხითებს.

ები. (მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა გოგონას) ებენი სად არის?

გოგონა. არ ვიცი, მისის ქებოტ. საუკუნეა არ მინახავს! (მრავალმნიშვნელოვნად) ამბობენ, რაც თქვენ ამ სახლში მოხვედით, მას შემდეგ ცხვირსაც აღარ ჰყოფს გარეთო...

ები. ჰო. მე მას კარგ დედობას ვუწევ!

გოგონა. დიახ. ასე ამბობენ... (მიტრიალდება და დედამისს, რომელიც გვერდით უზის, რაღაცას ჩასჩურჩულებს ყურში. ჩურჩული წრეს მოივლის.

ები. (ახლა ვიღაც კაცს ეკითხება) თქვენ ხომ არ იცით, სად არის ებენი?

კაცი. არა. (თვალს ჩაუკრავს) თქვენ არ იცით, და მე მეცოდინება?

ები. მოვიდეს. იცეკვოს... ებენი კარგად ცეკვავს.

კაცი. (თვალს ჩაუკრავს) შეიძლება ბავშვს არწევს.

ები. (თავს დაუქნევს) შეიძლება. ჯერ ორი კვირისაა და ვერ წარმოიდგენთ რა ლამაზია!

კაცი. ყველა დედას ასე ჰგონია. (იდაყვს წაჰკრავს და ჩუმად ეუბნება) გამიგონე, ები. ებენი რომ მოგბეზრდება, მერე ჩემთან მოდი... (ებიმ წაუყრუა. პაუზა) ეჰ, ცოტა კიდევ უნდა დავლიო. (ქებოტთან მივა, რომელიც ამ დროს ვიღაც ფერმერს ძროხებზე ელაპარაკება; სამივენი სვამენ).

ები. (აღარავის არ მიმართავს. თავისთვის ამბობს) ნეტავ, რას აკეთებს ებენი?

(სტუმრები ისევ აჩურჩულდებიან. მევიოლინემდეც მივა ნათქვამი. ის თავის უსიცოცხლო, თევზის თვალებს ების მიაპყრობს და ამბობს)

მევიოლინე. (ხმამაღლა) ები, მე ვიცი რას აკეთებს ებენი... ეკლესიაში, სანთლებს ანთებს... (ყველანი იცინიან).

კაცი. რატომ? (ისევ იცინიან)...

მევიოლინე. რატომ და უხარია... (პაუზა) ძმა ეყოლა! (ხარხარი. ხან ების უყურებენ და ხან ქებოტს. ები კარს უყურებს. ქებოტს ნათქვამი არ გაუგონია. მაგრამ იეჭვებს, ჩემზე იცინიანო, და წინ გამოვა. სიჩუმე ჩამოვარდება).

ქებოტი. რა თხებივით კიკინებთ! რატომ არ ცეკვავთ? აქ იმისათვის მოგიწვიეთ, რომ იცეკვოთ, იმხიარულოთ. თქვენ კი ქანდარაზე ჩამომსხდარი ქათმებივით კაკანებთ. ღორებივით ჩახეთქეთ, გამოთვერით და ახლა ცეკვაც აღარ გინდათ. რატომ არ ცეკვავთ, იცეკვეთ!

(სტუმრები რაღაცას წაიბუტბუტებენ თავისთვის ჩუმად, მაგრამ ხმამაღლა არავინ არაფერს ამბობს, ქებოტის ეშინიათ).

მევიოლინე. ჩვენ ებენს ველოდებით (იცინიან).

ქებოტი. (გაბრაზდება) რა დროს ებენია! ჯანდაბას ებენი! მე პატარა ბიჭი მყავს, მორჩა და გათავდა! (მთვრალია და წარა-მარა ეცვლება გუნება) ებენზე ცუდი არავინ გამაგონოს! ჩემი სისხლი და ხორცია! რა ვუყოთ მერე. თუ სულელია, თქვენ მაინც გჯობიათ! მთელი დღე თავაულებლად მუშაობს, ჩემსავით...

მევიოლინე. ღამე მუშაობს!

(იცინიან).

ქებოტი. იცინეთ, თქვე სულელებო. სწორია, დღეც მუშაობს და თუ საჭიროა, ღამეც. მე მგავს!

მოხუცი ფერმერი. (ძლივს დაბანცალებს) რა მაგარი ვინმე ხარ, ეფრაიმ! სამოცდათექვსმეტი წლის კაცს კიდევ შვილი გყავს. მე სამოცდარვისა ვარ და აღარ შემიძლია.

ქებოტი. (ბეჭებზე ხელს დაჰკრავს) მეცოდები, ჰი! კარგი ბიჭი ხარ და არ მეგონა, უკვე თუ მოტყდი.

მოხუცი ფერმერი. მე კი არ მეგონა, შენ თუ ასე მაგარი იყავი, ეფრაიმ.

(ყველანი იცინიან).

ქებოტი. მაგარი ვარ, მაგრადაც დავთვერი... (გამხიარულდება). თქვენ მე არ მიცნობთ! (მევიოლინეს) რაღას უცდი, რას გაშტერებულხარ! ზეიმია. ლხინია, დაუკარი!

მევიოლინე. (მოხუცი ფერმერის მიწოდებულ სასმელს გადაჰკრავს) ახლავე!

(უკრავს „Lady of the Lake“ ოთხი წყვილი და ორ რიგად დადგებიან და ცეკვავენ. მევიოლინე მოცეკვავეებს მოძრაობებს კარნახობს და თან ოხუნჯობს, ისე, რომ სიტყვებს მუსიკის ტაქტს აყოლებს. ყველანი ტაშს უკრავენ და ქუსლებს აბაკუნებენ. ქებოტი ყველაზე მეტს მხიარულობს. მარტო ები ზის მდუმარედ და კარს უყურებს).

მევიოლინე. ჯიმი, ეგ გოგო მარჯვნივ დაატრიალე, კარგია! ხელი მოხვიე! წელზე! მაგრად, ნუ გეშინია, დედამისი არ გიყურებს! (იცინიან) წყვილები იცვლებიან! ესი, კმაყოფილი ხარ? რუბი შენია! შეხედე. როგორ გაწითლდა! ცხოვრება ხანმოკლეა და სიყვარული კიდევ უფრო მოკლეო, ამბობენ.

(სიცილი).

ქებოტი. (მხიარულად) მიდით, ბიჭებო! ყოჩაღ, გოგოებო!

მევიოლინე. (თვალს უკრავს სტუმრებს) სამოცდათექვსმეტწლიანებში ჩემპიონი ხარ, ეფრაიმ! ცოტა თვალს გაკლია, თორემ სხვა არაფერი... (ყველანი იცინიან) (მევიოლინე, ქებოტს რომ პასუხის შესაძლებლობა არ მისცეს, ამბობს) **Promenade!** რა პატარძალივით მოიპარები. სარა! მაღლა აიხედე. ადამიანი იმედით ცოცხლობს! მარცხნივ!... ღმერთო ჩემო, ჯონი კუკს შეხედეთ! რამსიმაღლეზე იქნევს ფეხებს! ეს ხვალ რაღას იმუშავებს!

(სიცილი)

ქებოტი. მიდი! მიდი! (მოცეკვავეებში შევარდება ხელების ქნევით) გამეცალეთ, თქვე გლახებო! აი, ცეკვა როგორ უნდა!

მევიოლინე. მიდი, ეფრაიმ! აბა ჰე!

(უკრავს „Pop goes the wearel“. ძალიან ტემპიანი საცეკვაოა).

(ქებოტი ცეკვავს ცოცხლად, ლამაზად. მერე იმპროვიზაციაზე გადავა. დახტის, ფეხებს მაღლა იქნევს. მოხრილ სხეულს ინდიელივით ატრიალებს წრეზე, ხან ომახიანად დასძახის).

ქებოტი. ჰოპ! მიყურეთ! მიყურეთ! ჰოპ! აბა. ასე უნდა! **76** წლისა ვარ, **76**-ის. ქვა ვარ, რკინა ვარ! თქვენ ყველას გჯობივარ! **100** წლის რომ გავხდები, ჩემთან გეპატიჟებით, თუ ცოცხლები დარჩებით! თქვენი თაობა სუსტია, მანამდე ვერც მიაღწევთ! გული ვარდისფერი გაქვთ. წითელი უნდა გქონდეთ, წითელი! სისხლის მაგივრად წყალი გიდგათ ძარღვებში... მიყურეთ, ჰოპ! ინდიელი ვარ! თქვენ ჯერ დაბადებულიც არ იყავით, მე რომ ინდიელებს ვხოცავდი პრერიებში! ახლაც მეტყობა მათი ნაისრალი ბეჭებქვეშ. გიჩვენებთ. ვისაც გაინტერესებთ! მთელი ტომი მომდევდა, ბეჭებში ისარი გამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჭვეს, მაგრამ დედა ვუტირე მაინც! სიკვდილი სიკვდილის წილ! ასე მასწავლეს! ჰოპ! მიყურეთ, ჭერამდე ავხტები, თუ მინდა.

მ ე ვ ი ო ლ ი ნ ე. (დაიღალა. გაჩერდება) აღარ შემიძლია, მოვკვდი კაცი! ეს ვინ ყოფილა!

ქ ე ბ ო ტ ი. გაჯობე, გაჯობე! არაფერია, შენც ყოჩაღად უკრავდი! დავლიოთ! (ჩამოასხამს ვისკის თავისთვის და მისთვის. სვამენ. ყველანი ცივად და მტრულად უყურებენ ქებოტს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. მევიოლინე ჩამოჯდება. ქებოტი კასრს ჩამოეყრდნობა. მძიმედ სუნთქავს და აქეთ-იქით იხედება).

(მაღლა ოთახში ებენი წამოდგება. ფეხაკრეფით გადის და მეორე ოთახში შედის. უხმაუროდ მივა ბავშვთან, დააცქერდება. ცნობისმოყვარეობითა და სიყვარულით დასჩერებია. სახის გამომეტყველება სულ ეცვლება. იმ მომენტში, როდესაც ებენი ბავშვის საწოლთან მივა, ების თითქოს რაღაცამ უბიძგაო, წამოდგება. ნელა მივა ქებოტთან).

ე ბ ი. ავალ, ბავშვს დავხედავ.

ქ ე ბ ო ტ ი. (მზრუნველობით) მარტო ახვალ? ხომ არ მოგეხმარო ები?

ე ბ ი. არა. მალე ჩამოვალ.

ქ ე ბ ო ტ ი. თავს გაუფრთხილდი. შენ ახლა ბავშვს სჭირდები, ხომ იცი. ჩვენს ბიჭს!

(გაუღიმებს, მხარზე ხელს დაადებს. ები გაეცლება).

ე ბ ი. გამიშვი, წავედი...

(გადის. ქებოტი თვალს გააყოლებს. სტუმრები აჩურჩულდებიან. ქებოტი მოტრიალდება. ჩურჩული წყდება. ქებოტი ოფლს მოიწმენდს შუბლიდან. ისევ მძიმედ სუნთქავს).

ქ ე ბ ო ტ ი. ცოტა ხანს გარეთ გავალ. თავი ამტკივდა .აბა, დაუკარით, იცეკვეთ! სასმელი აქ არის. არ მოიწყინოთ, მე მალე მოვალ..

(გადის).

მ ე ვ ი ო ლ ი ნ ე. (სიცილით) ნუ იჩქარებთ! (ყველანი იცინიან. ების აჯავრებს) ებენი სად არის? (კიდევ უფრო ხმამაღლა იცინიან).

ქ ა ლ ი. (ხმამაღლა) უკვე გასაგებია, რაც ხდება ამ სახლში...

(მაღლა, საწოლ ოთახში შემოდის ები. კართან გაჩერდება და ებენს თვალებით ეალერსება. ებენი ვერ ამჩნევს).

კ ა ც ი. ჩჩჩ! კართან არ იდგეს და ყურს არ გვიგდებდეს. მაგან იცის ეგეთები!

(ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი მიწყდება და ისევ აჩურჩულდებიან, თითქოს ქარი ხმელ ფოთლებს აშრიალებსო. ქებოტი ჭიშკარს დაეყრდნობა და თვალების ფახურით უცქერის ცას. ები წყნარად მივა ებენთან)

ე ბ ე ნ ი. (დაინახავს) ები!

ე ბი. ჩჩჩ! (ყელზე მოეხვევა. ჰკოცნის. შემდეგ ბავშვს დახედავენ) ხომ ლამაზია? სულ შენა გგავს!

ე ბ ე ნ ი. (გაეხარდება) მართლა? მე არ მეჩვენება!

ე ბ ი. როგორ არა.

ე ბ ე ნ ი. (იღუშება) სულაც არ მიხარია. ჩემია და იმისი ჰქვია. ნუთუ მთელი ცხოვრება ასე უნდა იყოს? აღარ უნდა გათავდეს?

ე ბ ი. (თითს მიადებს ტუჩზე) რას იზამ. უნდა მოვიცადოთ! არ შეიძლება რამე არ მოხდეს. (მოეხვევა) მე უნდა წავიდე.

ე ბ ე ნ ი. გარეთ გავალ, აღარ შემიძლია ეს ვიოლინოს წრიპინი და ღრიანცელი...

ე ბ ი. მიყვარხარ, ებენ! მაკოცე!

(ჰკოცნის. ცოტა ხანს ჩახვეულები დგანან)

ქ ე ბ ო ტ ი. (ჭიშკართან) რაღაც მაწვალებს. ვერაფერი გამიგია. მუსიკამაც არ მიშველა... მაწვალებს, მტანჯავს.... ის რაღაცა ამ თელებში გახლართულა. სახლის სახურავზე გაფენილა, საკვამურში ჩამძვრალა, ყველა კუთხე-კუნჭულში მიმალულა! აღარც შვება და აღარც ლხენა! (ამოიოხრებს) ძროხებთან წავალ, ცოტა გულს გადავაყოლებ.

(გადის).

მ ე ვ ი ო ლ ი ნ ე. (უყურებდა) წავიდა! მოდით, დავლიოთ! გაუმარჯოს ყველა ჩერჩეტი მოხუცის გასულელებას! ქეიფი ახლა იწყება! (უკრავს).

(იცინიან. ცეკვავენ).

## ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

ნახევარი საათის შემდეგ. ებენი ჭიშკართან დგას. ცას უყურებს. ნაღვლიანია. შემოდის ქებოტი. თავდახრილი ნელა მიაბიჯებს. უცებ ებენს შენიშნავს და თვალები ბოროტად აუელვარდება. მივა და მხარზე ხელს დაჰკრავს. სახლიდან მოისმის ვიოლინის ხმა და სიცილი.

ქ ე ბ ო ტ ი. აი, თურმე სად ყოფილხარ!

ე ბ ე ნ ი. (სიძულვილით უყურებს, მერე მოეშვება) ჰო.

ქ ე ბ ო ტ ი. საცეკვაოდ რატომ არ მოხვედი? მეკითხებოდნენ, ებენი სად არისო.

ე ბ ე ნ ი. დიდი ამბავი!

ქ ე ბ ო ტ ი. ლამაზი გოგოებიც არიან...

ე ბ ე ნ ი. არ მჭირდება მე ლამაზი გოგოები!

ქ ე ბ ო ტ ი. ებენ, დროა დაქორწინდე.

ე ბ ე ნ ი. არა.

ქ ე ბ ო ტ ი. შე სულელო, მაშინ წილი გექნება იმის ფერმაში.

ე ბ ე ნ ი. (ჩაიცინებს) შენი გამოცდილებით მეუბნები? მასეთი არა ვარ!

ქ ე ბ ო ტ ი. ტყუილია! ეს დედაშენის ნათესავებს უნდოდათ ჩემი ფერმა....

ე ბ ე ნ ი. ხალხი სხვანაირად ამბობს! (პაუზა) მე მაქვს ფერმა!

ქ ე ბ ო ტ ი. რას მეუბნები, სად?

ე ბ ე ნ ი. (ფეხს დაჰკრავს მიწას) აი, ჩემი ფერმა!

ქ ე ბ ო ტ ი. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა. გამაცინე! შენია, არა?

ე ბ ი. (წყნარად) ნახავ, თუ არა!

ქ ე ბ ო ტ ი. (პაუზა) მე კი ვხედავ, მაგრამ შენ ვერ ხედავ! თხუნელასავით დაგბრმავებია თვალები! (ებენი დამცინავად ჩაიცინებს) რა გაცინებს?

(ებენი არ პასუხობს. გატრიალდება და მიდის).

ქ ე ბ ო ტ ი. (გაბრაზდება) ღმერთო, შენ შეეწიე! მართლა სულ გასულელებულა! შენი ფერმა!... ცოტა ჭკუა მაინც რომ მოეცა შენთვის ღმერთს, მიხვდებოდი, რომ შენი აქ უკვე აღარაფერია. მითუმეტეს ახლა, როცა მე შვილი მეყოლა. რომ მოვკვდები, ყველაფერი იმას დარჩება. ას წლამდე სიკვდილს არ ვაპირებ და მაშინ ის უკვე შენხელა იქნება. (ებენი დამცინავად ჩაიცინებს) იცინის კიდევაც! შენ გეტყობა, რაღაც ხრიკებს აწყობ! ამ ფერმას ების ვუანდერძებ... ების კი ადვილად ვერ გააცურებ, არაფერი შეგეშალოს! შენ მაინც ხუთი თითივით გიცნობს. დიახ, დიახ! ყველაფერი ვიცი — ები მომიყვა, როგორ უტრიალებდი... შე მართლა...

(მუშტებს უღერებს)

ე ბ ე ნ ი. სტყუი! ები ამას არ გეტყოდა!

ქ ე ბ ო ტ ი. (კმაყოფილია, რომ ებენი გააბრაზა) მითხრა. მე ვუთხარი, ტვინს მივასხმევინებ ამ თელებზე-მეთქი. ის კი მეუბნება, რა სულელი ხარ, ვინ უნდა მოგეხმაროს. მარტო რას იზამო. მერე მითხრა, ჩვენ ახლა ბიჭი გვჭირდება და გვეყოლება კიდეც, სიტყვას გაძლევო! ეს თუ მოხდა, რაც გინდა მთხოვე-მეთქი, ვუთხარი. ფერმა მე მიანდერძე და ებენი გააგდეო, მითხრა. როგორც ხედავ. ბიჭი მეყოლა! სიტყვა სიტყვაა! ფერმა მისია. შენი კი აგე, ის მტვერია, შარაზე! ახლა რატომ არ იცინი?

ე ბ ე ნ ი. (გახევებულია, გაოგნებული. მერე ისტერიულ სიცილს იწყებს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს) ჰა, ჰა, ჰა, გველო, თვალთმაქცო გველო!.. გული მიგრძნობდა!.. მაშ ეს ყველაფერი ტყუილია... (გიჟივით დაიღრიალებს) მოვკლავ!

(ებენი სახლისაკენ გაიქცევა, ქებოტი დაედევნება. დაეწევა და წინ გადაუდგება).

ქ ე ბ ო ტ ი. თითსაც ვერ დააკარებ!

ე ბ ე ნ ი. ჩამომეცალე!

(ცდილობს ხელის კვრით მოიცილოს. გამეტებით დაეძგერებიან ერთმანეთს. მოხუცი ქებოტი დაჯაბნის, ყელში სწვდება და კედელზე მიაკრავს. ამ დროს ები გამოირბენს და მათ მივარდება).

ე ბ ი. ებენ! ეფრაიმ! (ქებოტის ხელს დაეჯაჯგურება) ხელი გაუშვი, ეფრაიმ! არ დაახრჩო!

ქ ე ბ ო ტ ი. (ყელზე ხელს გაუშვებს, მერე მოიქნევს და ძირს დასცემს. ებენი ღონემიხდილი აგდია, სული ეხუთება და ძლივს სუნთქავს. ები შეჰკივლებს, ებენთან დაიჩოქება, ცდილობს მისი თავი მუხლებზე დაიდოს. მაგრამ ებენი არ მიიკარებს. ქებოტი გაბრაზებული დგას) ნუ გეშინია, ები! მოკვლა არ მიფიქრია. მეტი საქმე არა მაქვს, სახრჩობელაზე ავალ მაგის გულისათვის.... (ამაყად) ეგონა მო-

მერეოდა, იფიქრა, დაბერდა მამაჩემიო. ჩემი მომრევი კაცი არ არის! არც იმისი, იქ რომ სძინავს, მაღლა. მე უნდა გავზარდო, ჩემსავით ღონიერი იქნება! (მიდის). წავედი! დღეს ჩემი ბედნიერების დღეა და ვზეიმობ! (კართან მივა, მოტრიალდება ღიმილით) მაგას აღარაფერის თავი აღარა აქვს. მაგრამ თუ რამე გაგიბედოს ები, დამიძახე. მაშინვე შენთან გავჩნდები და მოვუტკაცუნებ ერთ ადგილას! ჰა, ჰა.

(შინ შევა. მალე მოისმის მისი სიცილი და შეძახილი „ჰოპ!“)

ე ბ ი. (ალერსით) ებენ, ძალიან გატკინა? (ებენი ხელს აჰკრავს. გაჭირვებით წამოჯდება).

ე ბ ე ნ ი. თავი დამანებე!

ე ბ ი. (გაკვირვებული) ებენ, ეს მე ვარ, ები. ვერ მიცანი?

ე ბ ე ნ ი. გიცანი! როგორ არა, ახლა გიცანი! (წამოდგომა უნდა, მაგრამ ვერ დგება. ტირის).

ე ბ ი. ებენ, ძვირფასო! რა დაგემართა? ისე მიყურებ, თითქოს ვერ მიტან!

ე ბ ე ნ ი. დიახ, ვერ გიტან! შე გაიძვერა! შე კახპა!

ე ბ ი. ებენ, შენ გესმის, რას ლაპარაკობ?

(უკან დაიხევს).

ე ბ ე ნ ი. (წამოდგება. მისკენ მიდის) მატყუარა! მაშ ყოველი შენი სიტყვა სიცრუე იყო. მე კი მეგონა მართლა გიყვარდი. მიყვარხარო, მეუბნებოდი!

ე ბ ი. მიყვარხარ ებენ! (ხელზე წაეტანება, მაგრამ ებენი ხელს აუქნევს).

ე ბ ე ნ ი. სტყუი! გამაბრიყვე, გამასულელე! შენ ჩემგან შვილი გინდოდა, მეტი არაფერი. შვილი, რომელიც მას თავისი ჰგონია და რომლის სანაცვლოდ ფერმა სთხოვე. მე კი გადამაგდეთ შარაზე. მტვერში. ხომ შეისრულე, რაც გინდოდა! (მიშტერებით უყურებს) შენს სულში სატანა ჩაბუდებულა... ადამიანი ვერ იქნება ასე ბოროტი!..

ე ბ ი. ეგ იმან გითხრა?

ე ბ ე ნ ი. იქნებ ტყუილია? მიდი, იცრუე შენებურად!

ე ბ ი. ებენ, გამიგონე, ეგ ადრე იყო. შენ მაშინ ზედაც არ მიყურებდი, მინისთან დარბოდი. მე კი მიყვარდი და გამწარებულს შურისძიება მინდოდა.

ე ბ ე ნ ი. ნეტავი მაშინ მოვმკვდარიყავი, ან მე ან შენ, ან ორივე ერთად, და ეს არ მომხდარიყო. ახლა მეც ვიძიებ შურს. დღედაღამ ვილოცებ, რომ დედა დაბრუნდეს და ორივე დაგწყევლოთ!

ე ბ ი. არა. ებენ! (მუხლებზე დაეცემა. ტირის) მე არ მინდოდა, მაპატიე, მაპატიე....

ე ბ ე ნ ი. (არ უსმენს) მე შურს ვიძიებ ორივეზე. შენზეც... იმაზეც! ვეტყვი, დიახაც ვეტყვი თუ ვისია ის შენი შვილი, თავი რომ მოგაქვს! შემდეგ კი წავალ... იყავით და უშხამეთ ერთმანეთს სიცოცხლე...! თან ღამ-ღამობით დედა მოგაკითხავთ! დასავლეთში წავალ, სიმეონთან და პიტერთან.

ე ბ ი. (შეეშინდება) როგორ, მე დამტოვებ? არა, ამას არ იზამ!

ე ბ ე ნ ი. (ისტერიულად) რატომაც არა! მერე გავმდიდრდები. ჩამოვალ და დედაჩემის ფერმას წაგართმევთ! შენ და შენ შვილს გარეთ გაგისტუმრებთ, ტყეში! იტანტალეთ მშიერ-მწყურვალმა, ვიდრე სული არ ამოგხდებათ!

ე ბ ი. (წყნარად) ის შენი შვილიც არის.

ე ბ ე ნ ი. რატომ დაიბადა! ან ახლა მაინც მოკვდებოდეს! მერჩივნა სულაც არ მენახა. განზრახ გააჩინე, ამ ფერმის გულისთვის! რაც ეგ გაჩნდა, ყველაფერი თავდაყირა დადგა!

ე ბ ი. სანამ გაჩნდებოდა, ხომ გჯეროდა, რომ მიყვარხარ?

ე ბ ე ნ ი. ჰო, მჯეროდა, სულელი ვიყავი!

ე ბ ი. ახლა აღარ გჯერა?

ე ბ ე ნ ი. ვინ დაუჯერებს ქურდს. მატყუარას?

ე ბ ი. ადრე ნამდვილად გიყვარდი?

ე ბ ე ნ ი. მიყვარდი და ამით ისარგებლე!

ე ბ ი. ახლა აღარ გიყვარვარ?

ე ბ ე ნ ი. ახლა მძულხარ!

ე ბ ი. რატომ?! რაკი ის გაჩნდა, ამისათვის მტოვებ და მიდიხარ?

ე ბ ე ნ ი. მივდივარ! წყეული ვიყო, თუ დავრჩე!

ე ბ ი. (პაუზა) (ნელა, ცივი ხმით ამბობს) აი, რა მივიღე! გაჩნდა და წამართვა შენი თავი, ჩვენი სიყვარული — ჩემი ერთადერთი სიხარული და ბედნიერება — ცასავით სუფთა და წმინდა! ამიტომ ასეა, ის მეცა მძულს, თუმცა დედა ვარ მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ბ ე ნ ი. სტყუი! შენ ის გიყვარს. ის ხომ შენი იარაღია. თუმცა არა, შენ ფერმა გიყვარს, სხვა არაფერი. მომატყუე, თავი შემაყვარე. ცრუ სიყვარულს მეფიცებოდი. შვილი გინდოდა, რომ შენს მაგივრად ის აქურდო...

ე ბ ი. შენ ის არაფერს არ წაგართმევს! მე იმას მოვკლავ! მიყვარხარ ებენ, და ამას დაგიმტკიცებ!

ე ბ ე ნ ი. გეყოფა ამდენი ტყუილი. მაინც აღარ მჯერა. (გატრიალდება) მშვიდობით.

ე ბ ი. (გაფითრებული) ერთხელაც არ მაკოცე, ისე მტოვებ! ნუთუ სულ აღარაფერი დარჩა იმ ჩვენი სიყვარულიდან?

ე ბ ე ნ ი. არა.

ე ბ ი. დაიცა, რაღაც გითხრა...

ე ბ ე ნ ი. არა. მივდივარ. უნდა დავლიო, ვიცეკვო და ვიმხიარულო!

ე ბ ი. (მკლავზე ჩამოეკიდება) ის რომ არ ყოფილიყო... ჩვენს შორის რომ არ ჩამდგარიყო.. და მე შენთვის დამემტკიცებია, რომ სულაც არ ვაპირებ ფერმა წაგართვა, მაშინ ყველაფერი ძველებურად იქნებოდა? ძველებურად გეყვარებოდი? ეს რომ ახლა დაგიმტკიცო, ისევ შემიყვარებ? მართალი მითხარი!

ე ბ ე ნ ი. ალბათ... (მკლავს გამოაცლის და მწარედ გაუღიმებს) მაგრამ ეს შეუძლებელია, შენ ხომ ღმერთი არა ხარ!

ე ბ ი. არ დაგავიწყდეს, რაც მითხარი! (შეცვლილი ხმით ამბობს) ღმერთი არა ვარ, მაგრამ რაღაც მეც შემიძლია.

ე ბ ე ნ ი. შენ სრულ ჭკუაზე არ უნდა იყო! (გადის).

ე ბ ი. (მიაძახებს) დაგიმტკიცებ. რომ მიყვარხარ უფრო:..

(ებენი ამ დროს სახლში შევა და ბოლო სიტყვები აღარ ესმის).

ე ბ ი. (ჩუმად დაასრულებს)... მეტად. ყველაზე მეტად.

## ს ც ე ნ ა მ ე ს ა მ ე

თენდება. ვხედავთ სამზარეულოს და ქებოტის საწოლ ოთახს. სამზარეულოს მაგიდაზე სანთელი ანთია. ებენი ზის, ნიკაპით ხელებს დაყრდნობია და უაზროდ იყურება. მის ფეხთან საკვოიაჟი დევს.

საწოლ ოთახში ნავთის ლამპის სუსტი შუქი ბჟუტავს. ქებოტს სძინავს. ები ბავშვის საწოლზე დახრილა, ყურს უგდებს. სასოწარკვეთილი და შეშინებულია. აქვითინდება და უნდა საწოლის წინ დაემხოს, მაგრამ ამ დროს ქებოტი ძილში რაღაცას წაიბურტყუნებს და გვერდს ინაცვლებს. ები გამოფხიზლდება, საწოლს მოცილდება. კარისკენ მიდის ჩუმად. გადის. სამზარეულოში შედის, ებენს მოეხვევა და კოცნას დაუწყებს. ებენი არ ინძრევა.

ე ბ ი. (ისტერიკულად ამბობს) მე შევასრულე, რაც გითხარი... დაგიმტკიცე, რომ შენ მიყვარხარ ყველაზე ძლიერ... ახლაც არ გჯერა?

ე ბ ე ნ ი. ახლა ყველაფერი სულერთია.

ე ბ ი. ხომ შემპირდი, მაკოცე ებენ, დამაწყნარე, მითხარი რომ ისევ გიყვარვარ!

ე ბ ე ნ ი. (ცივად აკოცებს) მშვიდობით ები. მე მივდივარ!

ე ბ ი. არა, არა! ახლა უკვე... რატომ მიდიხარ?

ე ბ ე ნ ი. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, მამას არაფერსაც არ ვეტყვი. დედა დაბრუნდება და შურისძიებისთვის ესეც იკმარებს. რამე რომ ვუთხრა, ბავშვს შეიძულებს!

(წყნარად ლაპარაკობს, მაგრამ ეტყობა. რომ ძალიან ღელავს) ბავშვის რა ბრალია, რა დაშავა. თანაც ჩემი შვილია და მე მგავს. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს მართლაც დავბრუნდე.

ე ბ ი. (თავის განცდებშია და არ ესმის ებენი რას ამბობს) არა, არა! ახლა არ წახვალ, არ გაგიშვებ, შენს მეტი ვილა დამრჩა... იმის ნერე, რაც გავაკეთე...

ე ბ ე ნ ი: (ების ხმა ეუცნაურება და შიში იპყრობს) გიჟს ჰგავხარ, ები, რა ჩაიდინე?

ე ბ ი მე... ის ... მოვკალი. ებენ!

ე ბ ე ნ ი. მოკალი?

ე ბ ი. ჰო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ბ ე ნ ი. (ცდილობს აზრი მოიკრიბოს) ახია მაგაზე! მაგრამ რაღაც უნდა გავაკეთოთ, ვითომ თვითომ აუტეხა თავის თავს რამე სიმთვრალეში. ყველა დაგვიმოწმებს, რომ ძალიან მთვრალი იყო.

ე ბ ი. (ყვირის) არა, არა! ის არა! (უაზროდ იცინის) თუმცა.. ის უნდა მომეკლა... როგორ ვერ მოვიფიქრე.., რატომ არ მითხარი?

ე ბ ე ნ ი. არა? მაშ ვინ?

ე ბ ი. ის!

ე ბ ე ნ ი. ბავშვი?

ე ბ ი. ბავშვი.

ე ბ ე ნ ი. (მუხლებზე დაეცემა, ხმა აუკანკალდება) ღმერთო ძლიერო, ღმერთო ძლიერო! დედა! დედაჩემო! სად იყავით, როგორ დაანებეთ!

ე ბ ი. (წყნარად) დედაშენი საფლავში დაბრუნდა. იმ ღამეს. გახსოვს? მერე აღარ გამოჩენილა. (პაუზა. ებენი ხელებს აიფარებს სახეზე. კანკალებს. წყნარად ამბობს) ბალიში ავიღე, სახეზე დავადე, მერე ვნახე და აღარ სუნთქავდა. (ტირის).

ე ბ ე ნ ი. მე მგავდა, ჩემი ბიჭი! გულქვავ, ბოროტო!

ე ბ ე ნ ი. არ მინდოდა მოკვლა... მეც არ ვიცი რა გავაკეთე! მე ის მიყვარდა. ჩემი შვილი... შენსავით ლამაზი.. მაგრამ შენ უფრო მიყვარხარ. შენ მიდიოდი, სამუდამოდ. მტოვებდი. ხომ მითხარი, მეჯავრებიო, ნეტავი მოკვდებოდესო, ეგ რომ არა, ყველაფერი ძველებურად იქნებოდაო!

ე ბ ე ნ ი. (ფეხზე წამოხტება, უნდა ყელში სწვდეს და დაახრჩოს) მოკალი მეთქი როგორ გეტყოდი. აზრადაც არ მომსვლია.

ე ბ ი. (საცოდავად ჩაიკეცება) ებენ, მასე ნუ მიყურებ! რატომ შემიძულე. ეს ხომ შენთვის გავაკეთე, ჩვენთვის! რომ ისევ ბედნიერები ვიყოთ.

ე ბ ე ნ ი. (ყვირის) გაჩუმდი, მოგკლავ! ისევ სტყუი, მკვლელო! შვილი მოკალი და ახლა გინდა მე დამაბრალო!

ე ბ ი. (ყურებზე აიფარებს ხელს) არა, ებენ არა! (მუხლებზე მოეხვევა.).

ე ბ ე ნ ი. (ელდანაკრავივით უკან დაიხევს) არ მომეკარო! როგორ გაიმეტე უსუსური, უმწეო ბავშვი! ეშმაკს მიჰყიდე ალბათ სული! (ყვირის) ვიცი, ვიცი რატომაც გინდოდა, რომ მე არაფერი დამრჩენოდა ჩემი ამ ქვეყნად... სხვა რა გამაჩნდა.. ის ჩემი იყო ერთადერთი. თანაც მე მგავდა... სწორედ იმიტომ მომიკალი. (გიჟივით დარბის აქეთ-იქით და ხელებს იქნევს) ახლა მიყურე.. შერიფთან მივალ, მოვახსენებ, რაც ჩაიდინე! მერე ვიმღერებ „ო, კალიფორნია...“ და წავალ მზის ქვეყანაში, ოქროს დასავლეთში! (ხან ყვირის, ხანაც ჩურჩულით ლაპარაკობს) შერიფს ახლავე აქ მოვიყვან! იქნებ აქედან მოგაშოროს, სადმე ჩაგკეტოს, აღარ შემიძლია შენი ატანა! მკვლელო! ქურდო, მატყუარა! (გატრიალდება სირბილით გადის. ეზოში გამოვარდება. ტირის. გარბის.)

ე ბ ი. (ფეხზე წამოხტება. კართან მიირბენს, გასძახის) მიყვარხარ, ებენ! მიყვარხარ! (ფეხზე დგომა უჭირს, კარს მოეჭიდება) რაც გინდა, ის გააკეთე, ოღონდაც ისევ შემიყვარე! (მოწყვეტით ჩაიკეცება).

## ს ც ე ნ ა მ ე ო თ ხ ე

ნახევარი საათის შემდგ. ისევ სამზარეულო და ქებოტის საწოლი ოთახი. თენდება. მზე ოქროსფრად ამოდის. ები სამზარეულოში ზის, თავი მკლავებში ჩაურგავს. მაღლა, საწოლ ოთახში იღვიძებს ქებოტი. ფანჯარას შეხედავს, გაკვირვებული რაღაცას შესძახებს. საბანს გადაიძრობს და ჩაცმას იწყებს. გვერდით არც გადაუხედია, ები იქ ეგულება, ელაპარაკება.

ქ ე ბ ო ტ ი. დალახვროს ეშმაკმა! რა ძილქუში დამეცა! ორმოცდაათი წელია ამდენი არ მიძინია. მზე რახანია ამოსულა. ასე იცის უზომოდ სმამ და ცეკვა-თამაშმა. თანაც სიბერე შემომეპარა! ებენი ალბათ უკვე მინდორშია. კი მაგრამ რატომ არ გამაღვიძე ები? (მოიხედავს, არავინაა. უკვირს). ე, სად წასულა; ალბათ საუზმეს ამზადებს. (ფეხაკრეფით მივა ბავშვთან და დააცქერდება) დილა მშვიდობისა, შვილო! რა ლამაზია! მკვდარივით სძინავს, სხვა ბავშვებივით კი არ ჩხავის მთელი ღამე! (გადის. სამზარეულოში შემოდის).

ქ ე ბ ო ტ ი. (ების დაინახავს) აი, თურმე სად ყოფილხარ! საუზმე მზად არის?

ე ბ ი. არა.

ქ ე ბ ო ტ ი. (ებისთან მივა, ნაზად ეუბნება) ავადა ხარ?

ე ბ ი. არა.

ქ ე ბ ო ტ ი. (მხარზე ხელს დაადებს. ები მხარს გაიქნევს) წადი, დაწექი. მალე გაიღვიძებს და ჭამას მოგთხოვს. არც განძრეულა, ისე სძინავს.

ე ბ ი. არ გაიღვიძებს.

ქ ე ბ ო ტ ი. (ხუმრობით) რა ძილი გამოაცხო, ჩემსავით!

ე ბ ი. მოკვდა...

ქ ე ბ ო ტ ი. (გაოცებული) რა?

ე ბ ი. მოვკალი.

ქ ე ბ ო ტ ი. (უკან გადადგამს ნაბიჯს) ხომ არ გაგიჟდი... თუ მთვრალი ხარ...

ე ბ ი. (თავს ასწევს და თვალებში შეხედავს) დიახ, მოვკალი! მოვკალი-მეთქი! დავახრჩე! წადი და ნახე, თუ არ გჯერა!

(ქებოტი ჯერ არ ინძრევა, მერე ადგილიდან მოწყდება და გავარდება. ისმის როგორ არბის კიბეზე. ოთახში შევარდება და ბავშვთან მივა. ები მაგიდაზე დაემხობა ისევ. ქებოტი ხელს დაადებს ბავშვს).

ქ ე ბ ო ტ ი. (ცახცახებს) ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! (ისევ ჩამორბის სამზარეულოში. ების ეცემა.) ეს რა ჩაიდინე? რატომ, რისთვის? (ები არ პასუხობს. ქებოტი მხარში ჩაავლებს ხელს და შეანჯღრევს).

ე ბ ი. (წამოხტება და ხელის კვრით იცილებს) ხელი გამიშვი! რა უფლება გაქვს, რომ მეკითხები. ის შენი შვილი არ იყო, გასაგებია? შენგან მე შვილს გავაჩენდი? როგორ გეგონა! ცოცხალი თავით არ ვიზამდი. მეზიზღები. თავიდანვე მეზიზღებოდი. ის კი არა, შენ უნდა მომეკალი, მაგრამ ვერ მოვიფიქრე. მეზიზღები, ვერ გიტან! ებენი მიყვარს! დავინახე თუ არა, მაშინვე შემიყვარდა! ბავშვი ებენის იყო. ჩემი და ებენის... შენი კი არა...

ქ ე ბ ო ტ ი. (პაუზა. უყურებს. სიტყვებს ეძებს) აი თურმე რა... მაშ ეს იყო... ის რაღაც, ყველა კუთხე-კუნჭულში რომ იყუჟებოდა... მატყუებდი, ახლოს არ მიკარებდი, არ შეიძლებაო! (პაუზა) მოკვდა, მკვდარია! სულ ცივია! მე ვნახე... საბრალო ბავშვი! (ცრემლი გადმოუგორდება და მკლავით მოიწმინდავს).

ე ბ ი. (ისტერიულად) არ გაბედო! არ გაბედო! (ქვითინებს).

ქ ე ბ ო ტ ი. (სახეს გაიქვავებს და კბილებში გამოსცრის) ქვა ვარ და კლდე ვარ, ამდენს რომ ვიტან! (პაუზა) ებენის იყო? მაშ ძალიანაც კარგი, რომ მოკვდა. არა, მე სულ რაღაცას ვგრძნობდი, გული მიგრძნობდა. ამიტომაც ვერ ვჩერდებოდი აქ... ამიტომაც მციოდა... მარტო ვიყავი და ძროხებთან მივდიოდი. ვიცოდი, რაღაც მოხდებოდა, საშინელი... ჩემი მოტყუება ადვილი არ არის! (სიარულს შეწყვეტს, გასწორდება, ების შეხედავს და ბოროტად ამბობს) ჯობდა მე მოგეკალი არა? ვერ მოგართვეს! აკი გითხარი. ას წლამდე უნდა ვიცოცხლო-მეთქი. აი, შენ კი ჩამოგკიდებენ კანონისა და ღმერთის სახელით! წავალ, შერიფს მოვიყვან! (კარისკენ მიდის).

ე ბ ი. შერიფთან ებენი წავიდა.

ქ ე ბ ო ტ ი. (გაუკვირდება) ებენი? ებენი წავიდა?

ე ბ ი. ჰო.

ქ ე ბ ო ტ ი. რომ დაგასმინოს...

ე ბ ი. ჰო.

ქ ე ბ ო ტ ი. (პაუზა) ჩემს მაგივრად გარჯილა. აბა მე წავალ, ვიმუშავებ. (კართან მივა, მოტრიალდება, აღელვებული ამბობს) ის ჩემი შვილი უნდა ყოფილიყო. შენ ჩემი ცოლი ხარ და ქმრის სიყვარული გევალებოდა. ებენის ადგილას მე შერიფთან არ წავიდოდი!

ე ბ ი. ალბათ ასე იყო საჭირო, რომ წავიდა!

ქ ე ბ ო ტ ი. (ცივად) ალბათ. (გარეთ გამოვა, ჭიშკართან მივა, ცას ახედავს. ბუტბუტებს) ღმერთო, ღმერთო. ნუთუ სულ მარტოობაში უნდა ამომხდეს სული (ფეხის ხმა მოისმის. ქებოტი ამაყად გასწორდება. შემოდის ებენი. ძლივს სუნთქავს. გიჟივით შემოვარდება. ჭიშკარში რომ შემოვა, ქებოტი მხარში ჩაავლებს ხელს და მოატრიალებს) შერიფთან იყავი?

ე ბ ე ნ ი. (თავს დაუქნევს) ჰო.

ქ ე ბ ო ტ ი. (მოიქნევს და ძირს დასცემს) ყოჩაღ, ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ! (მიდის, თან იცინის. ებენი ფეხზე წამოხტება.

ქებოტი უცებ მოტრიალდება და მუქარით ამბობს) როგორც კი შერიფი იმას წაიყვანს, გირჩევნია, შენც გაეცალო აქაურობას, თორემ ხელმეორედ მოუწევს მოსვლა ჩემს წასაყვანად. (გადის).

(ებენი ჩაფიქრებული დგას. მერე სახლში შეირბენს. ები ტირის. ებენი მასთან დაიჩოქებს. ტირის).

ე ბ ე ნ ი. მაპატიე!

ე ბ ი. (გახარებული) ებენ! (ჰკოცნის და მის თავს მკერდში იხუტებს).

ე ბ ე ნ ი. მიყვარხარ. ები!

ე ბ ი. გაპატიებ, ყველაფერს გაპატიებ!

ე ბ ე ნ ი. შერიფს ვუთხარი, საცაა მოვა...

ე ბ ი. რა მოხდა მერე... ახლა აღარაფრის აღარ მეშინია!

ე ბ ე ნ ი. შერიფი ლოგინიდან წამოვაგდე და ერთბაშად მოვუყევი ყველაფერი. დამიცადე, ახლავე ჩავიცვამო, მითხრა. ვიჯექი და ვუცდიდი. უცებ შენ გამახსენდი... გამახსენდა, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი... რა კარგი იყო..! აი აქ, შიგნით, რაღაც ჩამწყდა... მეტკინა და მივხვდი, რომ მიყვარხარ, ძალიან, რომ მუდამ მეყვარები!

ე ბ ი. (თმაზე ეფერება) ჩემო სიცოცხლევ!

ე ბ ე ნ ი. გულგახეთქილი გამოვვარდი. მინდორი ისე გადმოვიარე, არ გამიგია. მერე ტყე-ტყე მოვჭერი. ვიფიქრე, იქნებ მოვასწრო. გავიქცეთ-მეთქი...

ე ბ ი. (თავს გაიქნევს) არა. ცოდვა ჩავიდინე და განკითხვას დაველოდები!

ე ბ ე ნ ი. რახან ასეა, ერთად დაველოდოთ!

ე ბ ი. შენ რა შუაში ხარ!

ე ბ ე ნ ი. ჩემი ბრალია, მე გაიძულე...

ე ბ ი. არა.

ე ბ ე ნ ი. ცოდვა ზიარია... ჩვენ ერთად შევცოდეთ...

ე ბ ი. (თავს მაღლა ასწევს) არა, ეს ცოდვა არ არის, მაგისთვის ღმერთს არც შევევედრები, რომ შემიწდოს!

ე ბ ე ნ ი. ჰო. მაგრამ ამას ცოდვა თავისთავად მოჰყვა. ჩვენ უნებურად, მაგრამ მაინც, მკვლელები ვართ! ორივე, მეც.. ასეც ვეტყვი შერიფს, რომ მოვა ორივე-მეთქი, ვინ არ დაიჯერებს, ისედაც ეჭვობდნენ და თანაც ეს სიმართლეა! მეც ვარ დამნაშავე!

ე ბ ი. (ეფერება, ტირის) არა. ჩემი გულისათვის შენ რატომ...

ე ბ ე ნ ი. ყველას თავისი უნდა მიეზღოს. უარესად დავიტანჯები. სადაც არ უნდა ვიყო, დასავლეთში თუ სხვაგან, სულ შენზე უნდა ვიფიქრო, რომ შენ მკვდარი ხარ და მე ცოცხალი! არა, ამას ვერ ავიტან! (პაუზა) შენს გვერდით ვიქნები, მკვდარიც და ცოცხალიც. (ჰკოცნის) სულ ერთად. ები!

ე ბ ი. არა, ებენ, ნებას არ მოგცემ!

ე ბ ე ნ ი. (ჰკოცნის და ძალიან ნაზად ეფერება) განა მუდამ შენებურად იქნება... ზოგჯერ მეც უნდა დამიჯერო!

ე ბ ი. (ნაძალადევად იცინის) შენთან სიკვდილისაც არ მეშინია!

ე ბ ე ნ ი. (ყურს მიუგდებს) ჩჩჩ! გესმის, მოდიან!

ე ბ ი. არა. ამ ნაბიჯებს მე კარგად ვიცნობ! რაც არ უნდა გითხრას, ხმა არ გასცე. მეც ჩუმად ვიქნები.

(შემოდის ქებოტი. ეზოს ნელა გადაჭრის და სამზარეულოში შედის. ები ზის. ებენი მის გვერდით დაჩოქილა და ხელი მოუხვევია. ებიც მოხვევია. ორივენი გარინდულან).

ქ ე ბ ო ტ ი. (უყურებს) ორი უწყინარი გვრიტი! ერთ ხეზე უნდა ჩამოგკიდოთ კაცმა! და მანამდე ეკიდოთ, ვიდრე ჩემისთანა ჩერჩეტი მოხუცები ჭკუას არ ისწავლიან, რომ თავიანთი მარტოობის არ შეეშინდეთ, ხოლო თქვენისთანა სულელი ახალგაზრდები არ გაიგებენ, რომ ვნებებს მოთოკვა ეჭირდება. (პაუზა). (თვალები აემღვრევა, უაზროდ იყურება აქეთ-იქით) დღეს რაღაც არა ვარ მუშაობის გუნებაზე... არ შემიძლია. ჭირსაც წაუღია აქაურობა. აღარ მინდა! ძროხები და სხვა ცხოველები გავუშვი. ტყეში გავრეკე, თავისუფალი არიან. ისინიც და მეც. დღესვე წავალ აქედან! აქაურობას ცეცხლს მივცემ. დედაშენის სახლს ფერფლად ვაქცევ! მინდვრებს ღვთის ანაბარა მივაგდებ! კაცი ვერ გაბედავს მაინც იქ შესვლას! კალიფორნიაში წავალ, სიმთან და პიტერთან, ჩემ შვილებთან. სულელები არიან, მაგრამ მაინც ჩემი შვილებია. ჩვენ, ქებოტები ერთად ვიპოვით სოლომონ მეფის განძს! (უცებ შეხტება) ჰო-ოჰ! როგორ მღეროდნენ, „ო, კალიფორნია, მხარევ საოცნებო...“ (მღერის, თან იმ ადგილას მივა, სადაც ფული იყო შენახული. დაიჩოქებს) ყველაზე საუკეთესო გემით უნდა წავიდე! ფული არა მაქვს თურა! ეჰ, რატომ არ იცოდით, თორემ რას დამიტოვებდით! (ფიცარს ახდის: გაშტერდება. ხელს მოაფათურებს. ისევ გაშტერდება. პაუზა. სამარისებური სიჩუმეა. იატაკზე დამხდარი ნელა შემოტრიალდება. გაფითრებულია და თევზივით უსიცოცხლო თვალებით იყურება. რამდენჯერმე გაჭირვებით ჩაყლაპავს ნერწყვს და საცოდავად იღიმება) მაინც... მიგიგნიათ!

ე ბ ე ნ ი. (წყნარად) ეგ ფული სიმს და პიტერს მივეცი კალიფორნიაში წასასვლელად. იმათ კი სამაგიეროდ თავიანთი წილი დამითმეს ამ ფერმაში.

ქ ე ბ ო ტ ი. (ჩაიცინებს. ფეხზე წამოდგება) არა, ის ფული შენ არ მიგიცია, ღმერთმა მისცა, აკი ვამბობდი. რომ ღმერთი სასტიკია. იქ, დასავლეთში შეიძლება ოქრო ბევრია, მაგრამ ღმერთს არ სურს, რომ გამიშვას. ღმერთის ნება ურყევია! მე მესმის ისევ ის ხმა... მაფრთხილებს და მიბრძანებს, შენ აქ დარჩებიო! შენ რომ მათ ფული მიეცი, ეს ღმერთმა გიკარნახა, რათა ჩემთვის ცდუნება მოესპო! ღმერთი ძლიერია და მე მის ნებას ვემორჩილები. (პაუზა. თავისთვის ბუტბუტებს) ახლა სულ მარტო დავრჩი... თანაც მოვხუცდი... ღმერთო. შენ შემეწიე! (გამოცოცხლდება) მერე რა მოხდა! განა ღმერთი მარტო არ არის? მარტოა და სასტიკია! (პაუზა).

(შემოდის შერიფი ვიღაც ორ კაცთან ერთად. ფრთხილად მივა კართან და რევოლვერის ტარით დააკაკუნებს).

შ ე რ ი ფ ი. კანონის სახელით, კარი გააღეთ!

(ყველანი შეკრთებიან).

ქ ე ბ ო ტ ი. თქვენთან არიან! (კართან მივა, აღებს) შემოდი, ჯიმ! აქ ბრძანდებიან! (შერიფი შედის. ის ორნი კართან რჩებიან).

ე ბ ე ნ ი. მე მოგატყუე, ამ დილით ჯიმ! ჩვენ ყველაფერი ერთად გავაკეთეთ. მეც წამიყვანეთ!

ე ბ ი. არა!

ქ ე ბ ო ტ ი. ორივენი წაიყვანეთ (წინ გამოვა და ებენს უყურებს) ყოჩაღ, აბა, მე წავედი, ძროხებს მოვრეკავ, ვიდრე სულ არ გადაკარგულან. მშვიდობით!

ე ბ ე ნ ი. მშვიდობით!

ე ბ ი. მშვიდობით!

(ქებოტი გადის. ნელა გადაივლის ეზოს. გამართული მიდის. სახე გაქვავებული აქვს. შერიფი და კაცები ოთახში შევლენ).

შ ე რ ი ფ ი. წავედით!

ე ბ ი. ახლავე. (ებენს) ებენ, მიყვარხარ!

ე ბ ე ნ ი. მეც მიყვარხარ, ები! (ჰკოცნიან. შერიფი და ის ორნი დაბნეულები დგანან, უხერხულად იშმუშნებიან).

(ებენი ხელს ჩაჰკიდებს ების. ნელა გამოდიან. ჭიშკართან გაჩერდებიან).

ე ბ ე ნ ი. (ცაზე უთითებს) მზე ამოვიდა, შეხედე, რა ლამაზია!

ე ბ ი. ჰო.

(მოწიწებით უცქერიან ცას. არაამქვეყნიური, ყველაფრისაგან გამოთიშული სახეები აქვთ).

შ ე რ ი ფ ი. (აღტაცებით და შურით ათვალიერებს იქაურობას) რა ფერმაა! მეც არ ვიტყოდი ამაზე უარს!

ფარდა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანთაძემ